# მესაკუთრე

№ 8
ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 5-7 დეკემბერი | 1996 წელი


### სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

## ნუსხებში შეტანილია ცვლილებები

ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ 1996 წლის 29 ნოემბერს გამოსცა ბრძანება (№1-3/853), რომელშიც ნათქვამია:

"1. შეტანილი იქნას ცვლილებები №4 და №5 სპეციალიზებული აუქციონების ნუსხებში:

1.1. სააქციო საზოგადოება "ელიტა"-ს ყოფილი "გორის პურპროდუქტების კომბინატი"-ს (№875) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №4 სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხაში მითითებული 159600-სა უნდა იყოს 70203, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 8,36-სა უნდა იყოს 3,68 ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 159600-სა უნდა იყოს 70203, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 239400-სა უნდა იყოს 105304,5;

1.2. სააქციო საზოგადოებები: "საქელექტრომანქანა" (№350) და "ჩაის ფაბრიკა №1" (ზუგდიდი) (№4520) ამოღებული იქნან №5, სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხიდან;

1.3. სააქციო საზოგადოება "აგარის საკონსერვო ქარხანა"-ს (№65) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №5 სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხაში მითითებული 552350-სა უნდა იყოს 543000, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 99,92-სა უნდა იყოს 98,23, ნომინალური ღირებულება აშშ დროლარებში ნაცვლად 807529,24-სა უნდა იყოს 793859,65, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 1159935-სა უნდა იყოს 1140300;

1.4. სააქციო საზოგადოება "ეგრისი"-ს ყოფილი "სენაკის ხალიჩების კომბინატი"-ს (№328) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №5 სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხაში მითითებული 355876-სა უნდა იყოს 328000, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 90-სა უნდა იყოს 82,95 ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 520286,55-სა უნდა იყოს 479532,16, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 747339,6-სა უნდა იყოს 688800.

2. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ.გაბუნია):

2.1. უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზეთ "მესაკუთრე"-ში გამოქვეყნება;

2.2 სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიალური ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების ცვლილებების შესახებ ინფორმირება.

3. დაევალოს აუქციონების ჩამტარებელ კომისიას (მდივანი - ბ-ნი ნ.დვალი) უზრუნველყოს ნუსხიდან ამოღებული სააქციო საზოგადოებების აქციების შესაძენად განაცხადების მიღების შეწყვეტა, ხოლო ფინანსების აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ბ-ნი ნ. მაისურაძე) უზრუნველყოს ამ სააქციო საზოგადოებების აქციების შესაძენად აუქციონზე შემოსული თანხების (თუ ასეთი არსებობს) დაბრუნება ან ჩათვლა გადახდილად შემდეგში გამართულ აუქციონებზე, გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე.

5. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ე.ჯუღელს."

### საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

### ბრძანება №1-3/864

1996 წლის 2 დეკემბერი — თბილისი

## №6 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხის დამტკიცების შესახებ

მასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების შემდგომი რეალიზაციის მიზნით **ვბრძანებ:**

1. მოქმედი წესით დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზება გათვალისწინებულია №6 სპეციალიზებულ აუქციონზე (დანართი №1, იხ. მე-5 გვ.);

1.1. აუქციონზე გადახდის საშუალებად მიიღება ეროვნული ვალუტა (ლარი) და გადახდილი თანხა უნდა იყოს 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2. აუქციონზე გასაყიდი აქციათა განლაგების და სააქციო საზოგადოების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დამატებითი, ამომწურავი ინფორმაცია მყიდველებმა შეუძლიათ მიიღონ უშუალოდ სააქციო საზოგადოებაში, ნუსხაში მითითებულ მისამართზე.

2.1 სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია შეუფერხებლად უზრუნველყოს მყიდველებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცნობა და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინფორმაციის სისწორეზე.

3. დაევალოს 1996 წლის №1-3/430 ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლებით გადაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიას (თავმჯდომარე ბ-ნი ე. ჯუღელი) უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ, ამ ბრძანებაზე თანდართულ ნუსხაში მითითებულ ვადაში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

4. სპეციალიზებულ აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში და შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.1. დაევალოს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ბ-ნი ვ. ჩხაიძე) და სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს შემოსული განაცხადების აღრიცხვა აწარმოონ ამ მიზნით გახსნილ, სპეციალურ, ფურცლებდანომრილ, ზონარგაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

4.2. სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, განაცხადების მიღების დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღის ვადაში, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარმოადგენენ ტერიტორიული ორგანოს ბეჭდით დამოწმებულ ინფორმაციას ადგილზე მიღებული განაცხადების და გადახდილი თანხების შესახებ დადგენილი ფორმით.

ინფორმაციის წარდგენა სამინისტროში აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილზე განაცხადები არ იყო შეტანილი.

დადგენილი ვადის დაგვიანებით წარმოდგენილი ინფორმაცია არ განიხილება, აუქციონის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება და პასუხისმგებლობა განმცხადებლის წინაშე დაეკისრება სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს.

5. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია):

5.1. უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხის შესახებ ინფორმაციის გაზეთ "მესაკუთრე"-ში გამოქვეყნება;

5.2. სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიალური ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების აუქციონის შესახებ ინფორმირება.

6. აქციების (აქციათა პაკეტების) შესაძენად საჭირო თანხების გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე №001141776 მფო 521017 სააქციო-კომერციული ბანკის "საქართველოს ბანკის" სათაო განყოფილებაში ან სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მომსახურე საბანკო დაწესებულებებში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ე. ჯუღელს.

მინისტრი ა. სილაგაძე

# უძრავი ქონების აღრიცხვა და მართვა

**გურამ დიდბარიძე,**
**სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე**

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საქმიანობის მიმდინარე ეტაპზე, როდესაც თითქმის დასრულდა ეგრეთწოდებული "მცირე პრივატიზება" და "მასობრივი პრივატიზების" პროცესი (რომელთა დაჩქარებული ტემპებით წარმართვა საქართველოს ეკონომიკის უმძიმესი მდგომარეობიდან და ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფოს მუნიციპალური მდგომარეობის შეცვლის აუცილებლობით იყო გამოწვეული), დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტიანად მართვის საკითხი.

საერთოდ "ქონებაში" უმნიშვნელოვანესი ადგილი უძრავ ქონებას განეკუთვნება, რომლის მართვის საკითხებს დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში.



უძრავია ქონება, რომელიც მიწასთან მყარადაა დაკავშირებული და მისი გადატანა ღირებულებების არსებითი ცვლილების გარეშე შეუძლებელია. ამდენად ამ სახის ქონებას განეკუთვნება მიწა, შენობები, ნაგებობები, ტყის მასივები და სხვა.

მიწის გამოყენებისა და განკარგვის საკითხები სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კომპეტენციას არ განეკუთვნება და მასზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა და მინისტრთა კაბინეტის 1996 წლის 16 ივნისის №344 დადგენილებით დამტკიცდა დებულება "სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის წესის შესახებ".

ამ დებულებამ განსაზღვრა უძრავი ქონებით სარგებლობის ფორმები, კერძოდ: უძრავი ქონების გაცემა ოპერატიული მართვის, სამეურნეო გამგებლობის, იჯარის (მათ შორის გამოსყიდვის) უფლებით და მისი პრივატიზება.

ოპერატიული მართვის უფლებით უძრავი ქონება გადაეცემა მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ასეთ შემთხვევაში ეს ქონება აღირიცხება ამ ორგანიზაციათა ბალანსზე, მაგრამ მათ ეკრძალებათ უძრავი ქონების (ან მისი ნაწილის) რაიმე ფორმით გასხვისება. ამასთან, საბიუჯეტო ორგანიზაციებს ქონებით სარგებლობისათვის გადასახადი არ უწესდე-

(დასასრული მე-2 გვ.)

# რაჭველებმა ახალი ხიდი და აღდგენილი ჰესი მიიღეს

"ნებისმიერი მშენებლობა ახალი ცხოვრების დასაწყისია. რიონზე ხიდის გახსნით რაჭისთვის ახალი ცხოვრება იწყება. რაჭა, სადაც არაჩვეულებრივი ხალხი, დიდი სიკეთისა და სიყვარულის მატარებელი ხალხი ცხოვრობს, ერთი მიზნით - სამშობლოს სიყვარულით არსებობს. როდესაც იცი, კეთილ საქმეს რომ აკეთებ და შენი ქვეყნის კეთილდღეობით ხარობ, წელში გამართული ხარ. დიდი მადლობა, რომ გწამთ მომავლის", - ამ სიტყვებით გახსნა სახელმწიფო

(დასასრული მე-2 გვ.)

## ნომერშია:



ასე სოფელი ვერ აშენდება

გვ.3



ფიქსირებული კურსი არ იქნება

გვ.6



ჭეშმარიტება ღვინოშია

გვ.7



მწვრთნელის იმედები არ გამართლდა

გვ.8

ნომერშია:

# უძრავი ქონების აღრიცხვა და მართვა

(დასასრული)

ბათ. სამეურნეო გამგებლობის უფლებით უძრავი ქონება გადაეცემა იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეურნეო საქმიანობას თვითანაზღაურების პრინციპზე. ასეთ შემთხვევაში ქონების ღირებულება ამ საწარმოთა ბალანსზეა და მათ უფლება აქვთ იჯარით გასცენ ეს ქონება (ან მისი ნაწილი) მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან (ან ტერიტორიულ ორგანოსთან) შეთანხმებით. სამეურნეო გამგებლობის უფლებით ქონებით სარგებლობა ფასიანია ანუ საწარმოებს განესაზღვრებათ შესაბამისი გადასახადის ოდენობა.

უძრავი ქონების იჯარით (მათ შორის გამოსყიდვის უფლებით) გაცემა წარმოებს "იჯარის შესახებ" კანონის, "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის №555-I-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულების და სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 იანვრის №20 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წ. 16 ივნისის №944 დადგენილების "სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის წესის შესახებ" შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე "სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიაზე 1995 წლის 3 ივლისის დადგენილებით" დამტკიცებული იქნა უძრავი ქონების სამეურნეო გამგებლობაში და ოპერატიული მართვის უფლებით გადაცემისას გაფორმებული დოკუმენტაციის ტიპიური ფორმები, კერძოდ: უძრავი ქონების სამეურნეო გამგებლობაში გადაცემისათვის - განცხადების ფორმა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასახელების ფორმა, კონტრაქტის ნიმუში და სამეურნეო გამგებლობის მოწმობის ფორმა, ხოლო ოპერატიულ მართვაში გადაცემისათვის - შესაბამისი მოწმობის ფორმა.

დღეისათვის უძრავი ქონების არასაცხოვრებელი ფართის ოპერატიულ მართვაში გადაცემაზე სამინისტროს მიღებული აქვს 3 გადაწყვეტილება, სამეურნეო გამგებლობაში გადაცემაზე - 5 გადაწყვეტილება, ხოლო იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გაცემაზე 11 გადაწყვეტილება.

უძრავი ქონების მართვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის სამინისტროს მიერ სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად შემუშავებულ იქნა სპეციალური ფორმები, რომლებიც დაეგზავნა ყველა რაიონის (ქალაქის) გამგეობას და ცენტრალურ მმართველობის ყველა ორგანოს, რათა დაზუსტდეს რა ოდენობისა და ღირებულების უძრავ ქონებას ფლობს დღეისათვის სახელმწიფო.

ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა სააქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალში არ შესულ სოციალურ-კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მართვის პროცესის მოსაწესრიგებლად. კერძოდ, ყველა სააქციო საზოგადოებას, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული სახის ობიექტები, დაეგზავნათ წერილობითი გაფრთხილება წარმოადგინონ წინადადებანი ამ ობიექტთა სამეურნეო გამგებლობაში ან იჯარით (მათ შორის გამოსყიდვის უფლებით) აღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტროს მიერ აღნიშნული ობიექტების მიმართ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ცალმხრივად. დღეისათვის სამინისტროში რეგულარულად შემოდის სააქციო საზოგადოებათა სათანადო წერილები აღნიშნულის შესახებ, რომელთაგან ექვსზე უკვე მომზადებულია სათანადო დოკუმენტაცია და მზადდება სამინისტროს შესაბამისი ბრძანებები.

უძრავი ქონების მართვის პროცესში ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია დაუმთავრებელ მშენებლობათა განკარგვა. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობის გამო მრავალი მშენებარე ობიექტი დაფინანსების გარეშე დარჩა და შემდგომში ბუნებრივი მოვლენებისა თუ ცნობილი კრიმინოგენული სიტუაციის გამო ისინი მნიშვნელოვნად დაზარალდა.

დღეისათვის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში ქვეყნის მასშტაბით 2000-მდე ასეთი ობიექტია დამტკიცებული, რომელთაგან მხოლოდ 30-მდეა პრივატიზებული.

სწორედ მშენებარე ობიექტთა თავისებურებიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ინიციატივით 1994 წლის 28 აგვისტოს გამოიცა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის №978 ბრძანებულება "დაუმთავრებელი მშენებლობათა პრივატიზების დამატებით ღონისძიებათა შესახებ", რომელიც ითვალისწინებს დაუმთავრებელ მშენებლობათა საინვესტიციო კონკურსის წესით პრივატიზებას 50%-ის ფასდაკლებით და დანარჩენი თანხაც მყიდველმა უნდა გადაიხადოს 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს გამოიცა ბრძანება №1-3/816 "თბილისში განლაგებული სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ", რომლითაც შეიქმნა კომისია ქ. თბილისში განლაგებული ამ სახის ქონების სრული აღრიცხვისათვის. კომისიის მუშაობის დამთავრების ვადად განისაზღვრა 1997 წლის 1 აპრილი.

ამასთან, ამავე ბრძანებით საერთო სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების იჯარით გამოსყიდვის უფლების გარეშე სამეურნეო გამგებლობისა და ოპერატიული მართვის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება დელეგირებულ იქნა ქ. თბილისის დეპარტამენტზე, რომელსაც ანალოგიური უფლება მუნიციპალური ქონების მიმართ მინიჭებული აქვს ქ. თბილისის მერიის მიერ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ. თბილისის დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი ფასების განსაზღვრა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და უცხო ქვეყნის საელჩოთა (წარმომადგენლობათა) განსათავსებლად.

სამინისტროს მიერ უძრავი ქონების მართვის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის მუშაობა კვლავ გრძელდება და უახლოეს მომავალში ნავარაუდევია რამდენიმე ნორმატიული დოკუმენტის მიღება.

# რაჭველებმა ახალი ხიდი და აღდგენილი ჰესი მიიღეს

(დასასრული)

მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა ამბროლაურში ახალი ხიდი, რომელიც 1991 წელს მიწისძვრის შედეგად დაინგრა.



ნიკო ლეკიშვილი

აღნიშნული ხიდი უცხოეთიდან ჩამოტანილი კონსტრუქციებით 40-იან წლებში აშენდა და რა თქმა უნდა, არ იყო გათვალისწინებული ტრანსპორტის რაოდენობა და ტვირთების მოცულობა. სამწუხაროდ, ხუთი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა მისი აღდგენა. წელს კი კონცერნ "საქავტოების" თანამშრომლებმა, კერძოდ, მცხეთის ხიდების მშენებლობის სამმართველოს წარმომადგენლებმა 7 თვეში მოახერხეს პრაქტიკულად ახალი ხიდის აგება. როგორც კონცერნის ხელმძღვანელმა ბორის სარალიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ხიდის მშენებლობა 950 ათასი ლარი დაჯდა, აქედან 200 ათასი ლარი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თედო ისაკაძის ინიციატივით ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნა გამოყოფილი.

30 ნოემბერს კიდევ ერთი ფაქტის მოწმენი გავხდით - ამოქმედდა 1936 წელს აგებული და 1960 წელს დახურული რიცეულას ჰიდროელექტროსადგური.

"ვფიქრობ, საქართველოს მომავალი ენერგეტიკაში არის მცირე ჰესები და ის შესაძლებლობები, რაც ალტერნატიული ენერგორესურსების ამოქმედების თვალსაზრისით გაგვაჩნია. რიცეულჰესი, მართალია, მცირე ელექტროსადგურია, მაგრამ ორი რაიონის - ონისა და ამბროლაურის ელექტროენერგიით მომარაგება შეუძლია" - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჰესის ამოქმედების მიუხედავად პრობლემას წარმოადგენს მისი ექსპლუატაციის ფორმის შერჩევა. მომზადებულია ორი პროექტი. პირველი გულისხმობს ჰესის საერთო სისტემაში ჩართვას და პარალელურად ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის თანახმადაც საერთო სისტემიდან რეგიონს მიაწვდიან 4 მეგავატამდე ელექტროენერგიას, ანუ რამდენსაც ჰესი გამოიმუშავებს. მეორე პროექტი კი დამოუკიდებელი ქსელით მუშაობას, ანუ ცენტრიდან მოწყვეტას გულისხმობს. პრაქტიკულად ორივე ვარიანტი მისაღებია, მხოლოდ დაცულ უნდა იქნას პირობები.

რაც შეეხება რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარებას, ამ მხრივ გარკვეული სასიკეთო ძვრები უკვე სახეზეა. ადგილობრივი ინვესტიციებით ამუშავდა ლენტეხის ძეხვისა და ლიმონათის ქარხნები. გერმანელებს დაგეგმილი აქვთ ლორის ქარხნის აგება. ამერიკელები დაინტერესებულნი არიან ლების ოქროს საბადოთი, დიდი მოთხოვნილებაა ლენტეხის სპილენძსა და მარმარილოზე. ჰოლანდიელები კი აპირებენ განთქმული ხვანჭკარის ჩამოსხმას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თედო ისაკაძის ძალისხმევა. როდესაც რეგიონში ჩამოვიდა, არ მუშაობდა არცერთი ქარხანა. მათ შორის გაჩერებული იყო ამბროლაურის 3 და ცაგერის 4 ღვინის ქარხანა. წელს, ისევე როგორც სხვა ქარხნები, შეიძლება მუშაობს და პროდუქციასაც უშვებს. ეს, რა თქმა უნდა, თავის მხრივ ბიუჯეტის შესრულებას განაპირობებს.

მნიშვნელოვანი წინსვლა იგრძნობა ბუნებრივი რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. კასპის ცემენტის ქარხანა, სწორედ რაჭის ნედლეულის ხარჯზე მუშაობს. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსთავისა და ქუთაისის ცემენტის ქარხნების ხელმძღვანელებთან. თუმცა არის პრობლემები, რომელთა შესახებ ბატონ თედო ისაკაძეს საკუთარი შეხედულება აქვს.

"ვფიქრობ, კარიერზე მუშაობის უფლების მოპოვების ლიცენზირების წესი დახვეწას მოითხოვს, რათა სახელმწიფომ შემოსავალი მიიღოს. არსებობს კონკურსის წესი, რომელიც ჩემი აზრით, ყოველთვის სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. ერთადერთი ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა მექანიზმი, რომელსაც აუქციონი ჰქვია. მაგალითად, არის საბადო და სახელმწიფო აცხადებს პირობებს - ტონაზე თუ ვინ რამდენს გადაიხდის. აქ სუბიექტური გადაწყვეტილება არ არსებობს - ყველამ იცის, რომ უკეთესია დიდი ფასი. სიტუაცია ამ კუთხით რომ დარეგულირდეს, სოლიდურ შემოსავლებს მივიღებთ". - ასეთია რწმუნებულის აზრი.



თედო ისაკაძე

ასე რომ, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და მათ რაციონალური გამოყენება ესაჭიროება.

არის მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

აღდგა ჰესები და ამუშავდა წარმოებები. ხალხმა პერსპექტივაზე დაიწყო ფიქრი. ჯერი ახლა მთავრობაზეა - ხელი შეუწყოს კერძო ინიციატივების განვითარებას. სწორედ ეს არის მომავალი.

**დოდო ბოჭორიშვილი**

**გასწორება**: ჩვენი გაზეთის წინა (№7) ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ქვეყანა არია შურმა, ულმერთოდ ხარხარებს ღმერთი", რომელშიც გაიპარა უზუსტობა. ქ-ნი ნიაზ ჯავახიშვილი ქონების მართვის სამინისტროდან არ გაუგდიათ. მან სხვა მიზეზების გამო დატოვა სამსახური. რედაქცია წუხს აღნიშნული ფაქტის გამო.

# განწირულთა შველა განწირულთა საქმეა

**საპარლამენტო** კომისიის წინაშე განცხადება გააკეთა ყოფილი დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იბერვიზიის" ხელმძღვანელმა ბატონმა გიორგი გოგიბერიძემ. მან თავის გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ დაბადებულია 1953 წელს, არის უმაღლესი განათლების მქონე პირი და 88-89 წლებიდან მეთაურობდა "იბერვიზიას".

ბატონი გიორგის სიტყვებით, დამოუკიდებელი ტელეკომპანია მთლიანად მისი და მისი მეგობრების სახსრებით იყო დაფუძნებული. იგი უძღვებოდა "იბერვიზიას" და პარალელურად ფირმა "მერკური"-ში ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. ტელეკომპანიას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა მთავრობასთან. ამის გარდა ჰქონდა ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ოზურგეთშიც, სადაც განსაკუთრებით ხშირად უხდებოდა ბატონ გოგიბერიძეს მივლინებით მგზავრობა. შეიძლება ამითაც იყო განპირობებული წინადადება, რომელიც მან მიიღო ოზურგეთში სამუშაოდ გადასასვლელად, ხოლო წინადადებას 1993 წლის 25 მარტს ბრძანება მოჰყვა, რომლითაც გიორგი გოგიბერიძე ოზურგეთის რაიონის გამგებლად დაინიშნა.

ამავე წლის ნოემბერში, ცნობილი საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ, "მხედრიონი" იწყებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ოზურგეთში საკადრო პოლიტიკასა და კომერციაში ჩარევას. ბატონი გოგიბერიძის სიტყვებით "მხედრიონელები" დიდ ინტერესს იჩენდნენ ტელეკომპანიის მიმართაც, რადგან მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს ჯაბა იოსელიანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა გარკვეული ზეწოლა "იბერვიზია"-ზე და ბატონი გოგიბერიძის განცხადებით, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმა და მათ მიმართ ტერორისტული აქტების განხორციელება.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ იმავე წლის ზაფხულში იძულებული გახდა ერთი წლით გახიზნულიყო ქვეყნიდან საბერძნეთში, ხოლო 1994 წელს დაბრუნდა საქართველოში და მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ შოთა კვირაიას მიმართა მომხდარი ფაქტების თაობაზე განცხადებით. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა თბილისში 29 აგვისტოს მომხდარი ტერორისტული აქტი, რის შემდეგაც დააპატიმრეს ჯაბა იოსელიანი, ხოლო "იბერვიზიის" და მასთან ერთად ბატონი გოგიბერიძის საკითხი "ჰაერში გამოკიდული" დარჩა.

დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ხელმძღვანელის შემდეგი ნაბიჯი გენერალურ პროკურორთან შეხვედრის მცდელობა იყო. ბატონმა ბაბილაშვილმა მიიღო ბატონი გოგიბერიძე და გამომძიებელ აბუაშვილს გადასცა მისი საქმე. გამოძიება კვლავ ტაატით მიიწევდა წინ (თუ მიიწევდა საერთოდ).

ბატონი გიორგის განცხადებით, 1995 წლის 8 ოქტომბერს დააკავეს მისი ნათესავი კახა რამიშვილი, რომელიც გოგიბერიძის კუთვნილ ავტომანქანას მინდობილობით მართავდა და ვითომდა მძღოლის ვინაობის დასადასტურებლად პოლიციაში მისვლა სთხოვეს. როდესაც "იბერვიზიის" ხელმძღვანელი ადგილზე გამოცხადდა, მას უთხრეს, რომ უნდა დაეცადა, ვინაიდან იმ დღეს ქალაქის პოლიციის უფროსს ბატონ დემურ მიქაძეს დაბადების დღე ჰქონდა, ხოლო დაკითხვას იგი პირადად აპირებდა. მაშინ ბატონი გოგიბერიძე დაკავების ნამდვილი მიზეზით დაინტერესდა, რომელიც მისი თქმით, სრულიად უსაფუძვლო იყო და მოითხოვა გაეთავისუფლებინათ იგი და მისი ნათესავი. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და სამმართველოდან ერთ-ერთმა პოლიციელმა, ბატონმა მამია რუხაძემ, საკუთარი ავტომანქანით წამოიყვანა. უნდა ითქვას, რომ ამჟამად ბატონი რუხაძე განთავისუფლებულია სამსახურიდან და მის საქმეს ქალაქის სასამართლო იძიებს (ამის მიზეზი, ბატონი გიორგის განცხადებით, სწორედ ზემოთმოყვანილი გარემოება გახდა).

12 ნოემბერს დილით ათამდე პოლიციელი მივიდა ბატონი გოგიბერიძის სახლში და ოჯახის უფროსს სთხოვეს გაჰყოლოდა მათ. მიზეზად კი ქალაქის პოლიციის "შეფთან" შეხვედრა დაასახელეს. პოლიციის სამმართველოში "იბერვიზიის" ხელმძღვანელს არავინ შეხვედრია, იგი ჯერ 15 დღე იზოლატორში ამყოფეს, ხოლო შემდეგ კი 4 თვით ციხეში გადაიყვანეს. რა თქმა უნდა, ამ დაკავებას "რაღაცაში" ეჭვმიტანილის ნათესავებისა და ოჯახის წევრების მწვავე რეაქცია მოჰყვა, რის შემდეგაც უკვე პატიმარი გოგიბერიძე ბატონი მიქაძის დაჟინებული მოთხოვნით სამინისტროს იზოლატორში (სამინისტროს ციხეში) გადაიყვანეს. 8 თვის პატიმრობის შემდეგ 85-ე მუხლის II ნაწილის თანახმად საქმის მსვლელობა შეწყდა.

ბატონმა გიორგიმ, თავისი გამოსვლის ბოლოს, იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო კომისია სათანადო შეფასებას მისცემს მის მიმართ ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენელთა მოქმედებაში მომხდარ უხეშ დარღვევებს და როგორც ყოფილი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა მოითხოვა ხელი შეუწყოს პარლამენტმა და საერთოდ ხელისუფლებამ "იბერვიზიის" აღორძინების საქმეს.



# ასე სოფელი ვერ აშენდება ანუ მინისტრის ბრძანება უფლების გადამეტება იყო




ქაღალდი მართლა ყველაფერს იტანს. არც აღტაცებას გამოხატავს, არც წუხილს. არც სირცხვილისაგან წითლდება.

ძალიან გამძლეა, გამოსადეგიც. მასზე სატრფიალო ლექსიც იწერება და სალანძღავი წერილიც.

თეთრზე შავით იკვანძება კანონიც, რომელიც ზოგჯერ სრულდება, ზოგჯერ - არა.

სხვათაშორის, ქაღალდზე უკანონობაც იწერება, ისეთი, არავითარ წესსა და სამართალს რომ არ ემორჩილება, დამწერის უფლებებს რომ აჭარბებს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის კანონიერ ინტერესებს რომ ეწინააღმდეგება.

ეს გაბრაზებული, კანონზე განაწყენებული, პიროვნული მიზნების განსახორციელებლად ყოველივე უკეთურის ჩასადენად გამზადებული კაცის ნათქვამი არ არის.

ნამდვილად ასეა.

ფუჭი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და ნათქვამის დასამტკიცებლად ერთი უჩვეულო ფაქტი მოვიშველიოთ. იგი თვალნათლივ დაგვანახებს, რომ ნამდვილად შეიძლება ქაღალდზე კანონის საწინააღმდეგო ბრძანებაც დაიწეროს და ახალფეხადგმული მეწარმე თუ მესაკუთრე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს.

ისე, ცოდვა გამოტეხილი სჯობს და რასაც ახლა ვიტყვით, ვიღაცის მიერ თავისივე ხელმძღვანელის უხერხულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად გადადგმულ ნაბიჯს უფრო გავს, ვიდრე ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უწყების მეთაურის კარგად მოფიქრებულ გადაწყვეტილებას.

საქმე ის გახლავთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ საქართველოში არსებობდა მინისტრთა კაბინეტი, რომლის დადგენილებებს კანონის ძალა ჰქონდა. მართალია, ერთი ნაწილი ქაღალდზე რჩებოდა, მაგრამ რაღაც ნაწილი მაინც მოქმედებდა, საქმეს აკეთებდა, ხალხის ინტერესებს იცავდა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, სახელმწიფო სტრუქტურები გადახალისდა, მინისტრთა კაბინეტი სულ გაუქმდა, მისი ბევრი გადაწყვეტილება შეიცვალა ან სულაც ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ დარჩა ზოგი რამ, რასაც კანონის ძალა ჯერაც არ დაუკარგავს და შესასრულებლად სავალდებულოა ნებისმიერი რანგის სახელმწიფო მოსამსახურისთვის.

თანაც ამ გადაწყვეტილებების შეცვლა-გაუქმება დღეს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის პრეროგატივაა და ყველას როდი აქვს მისი გადაკეთება-გაუქმების უფლება.

ყოველშემთხვევაში ჩვენ ასე გვგონია. თურმე ვცდებოდით.

აი, როგორ.

"მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ" არსებობს მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №1010 დადგენილებით დამტკიცებული დებულება, რომლის თანახმად ავტოსაწვავზე გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადს ცენტრალიზებულად იხდიდნენ გამსაღებელი ანუ ის ორგანიზაციები, რომელთაც საწვავი შემოჰქონდათ და შემდეგ მას ცალკეულ რეალიზატორებზე - ბენზინგასამართ სადგურებზე ყიდიდნენ.

ეს გადასახადი გარკვეულწილად განსაზღვრავდა იმ ფასს, რომელსაც საწვავის ცენტრალიზებული წესით შემომტანი აწესებდა.

ეტყობა, ვიღაცა შეაწუხა საქართველოში ბენზინგასამართი სადგურების მომრავლებამ და 1996 წლის 26 აგვისტოს გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბატონ დავით იაკობიძის №260 ბრძანება, რომლის თანახმად მთავრობის ზემოხსენებულ დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში, რომელიც ჯერ არავის გაუუქმებია, მინისტრის ბრძანებით (?) შევიდა რადიკალური ცვლილებები, გაუქმდა რამდენიმე პუნქტი, რამდენიმე კიდევ რადიკალურად შეიცვალა და... საბოლოო ჯამში ავტოსაწვავზე გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადიდან ცენტრალიზებული წესით შემომტანი განთავისუფლდა და მისი გადახდა რეალიზატორს - ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებს დაეკისრათ.

თუმცა უმჯობესია უფრო დაწვრილებიც შევჩერდეთ ამ ფრიად ორიგინალურ ბრძანებაზე, რომლის თანახმად მოძრავი წყაროებიდან გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვის სრულყოფისა და აღნიშნულში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების დაინტერესების გაზრდის მიზნით, "მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №1010 დადგენილებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში, შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 პუნქტის მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"მოძრავი წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევისათვის და გარემოში პესტიციდების შეტანისათვის - ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ახდენს გარემოს გაჭუჭყიანებას მოძრავი წყაროებიდან და პესტიციდების საცალო გასაღებას".

მე-5 პუნქტის მე-3 აბზაცის შემდეგ დაემატა ახალი აბზაცი, შემდეგი რედაქციით:

"იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ავტოსაწვავის, პესტიციდების საკუთარი მოხმარებისათვის საბითუმო შესყიდვისას, ისინი ვალდებულნი არიან მოხმარებულ საწვავზე გადასახადი გადაიხადონ დადგენილი წესით".

2. გაუქმდა მე-15 პუნქტი.

3. მე-17 პუნქტის 1,2,3 და 4 აბზაცები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"17. ყოველკვარტალურად გამოანგარიშებული გადასახადი გარემოში მავნე ნივთიერებათა როგორც ლიმიტირებული, ისე ზელიმიტური გამოყოფისათვის, მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

გარემოში მავნე ნივთიერებათა ავარიული (ზალპური) გაფრქვევისათვის (ჩაშვებისათვის), აგრეთვე საწარმოო ნარჩენების უნებართვოდ განთავსებისათვის ან გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმებიდან ან წაყენებული სარჩელიდან მიღებული თანხები ჩაირიცხება:

70 პროცენტი - ადგილობრივ ბიუჯეტში, 30 პროცენტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე.

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ანგარიშზე ჩარიცხული თანხების ხარჯვის წესს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო".

4. პუნქტები 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 გადაკეთდა შესაბამისად 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22 პუნქტებად.

5. ცვლილებები ძალაში უნდა შესულიყო 1996 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს საგადასახადო სამსახურმაც არ დააყოვნა და ოპერატიულად გაავრცელა "სამახსოვრო", რომლითაც, სრულიად ბუნებრივია, მესაკუთრეებს ზემდგომის ბრძანების შესრულება მოთხოვა.

რა მოყვა ამას?

პირველ რიგში მესაკუთრეთა დიდი უკმაყოფილება, მერე გაფიცვის სურვილი, რომელიც თავად მესაკუთრეებმა უარყვეს და, რაც მთავარია, საწვავზე ფასების გაზრდის საშიშროება.

საქმე ის არის, რომ ცენტრალიზებულად შემომტანმა აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლების მიუხედავად საწვავის ფასი არ შეამცირა, რეალიზატორს კიდევ ერთი გადასახადი დაემატა და იძულებული გახდა (თუ გახადეს) ზარალის ანაზღაურება ფასის მომატებით ეცადა.

რა ზარალი? ყველამ ვერ გაუძლო დაწოლას, ვერ გაუჯიუტდა სახელმწიფო ორგანოებს და ზოგიერთმა საგადასახადო სამსახურის მოთხოვნა უყოყმანოდ შეასრულა.

ჰოდა, იზარალა.

როგორ? გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე პასუხისმგებელი არავინ აღმოჩნდა.

რატომ უნდა დაუბრუნონ?

აი, აქ კი საქმე უფრო რთული გამოდგა. თურმე მინისტრის 260-ე ბრძანება უფლებამოსილების გადამეტება ყოფილა და... იუსტიციის სამინისტრომ ეს ბრძანება არ დაამტკიცა.

სამართალმა, როგორც იტყვიან, პური ჭამა, მაგრამ ბრძანების წესიერად შემსრულებელი მესაკუთრე წაგებული აღმოჩნდა - დიდძალი თანხა დაკარგა.

ასე არც მეწარმეობა განვითარდება და არც სოფელი აშენდება.

**რ. რატიანი**

## ინფორმაცია

## მსოფ[illegible] ორბ[illegible]

### ინფლაციის ტემპების შესაბამისად

გრძელვადიანი ინვესტორების დაფინანსების წყაროების გაფართოების უმთავრეს საშუალებად რუსეთის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ შემუშავებული წინადადებები მიიჩნია სახელმწიფო სათათბიროს ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ იური მასლიუკოვმა. ამ წყაროდ ბანკი "სახელმწიფო საინვესტიციო სესხის ობლიგაციების" გამოყენებას თვლის. მასლიუკოვმა აღნიშნა, რომ ფასიანი ქაღალდების ინდექსირება მოხდება ინფლაციის ტემპების შესაბამისად.

### საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 8 პროცენტით გაიზარდა

არაორგანიზებული ვაჭრობის ჩაუთვლელად რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 1996 წლის ცხრა თვეში 97,9 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს 7,6 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

რუსეთის სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო დღეისათვის 28,1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სამ კვარტალში რუსეთის ექსპორტმა შეადგინა 63 მილიარდი დოლარი, რაც 8,5 პროცენტით აღემატება 1995 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. აქედან 51 მილიარდი შორეულ საზღვარგარეთზე მოდის, 12 მილიარდი კი თანამეგობრობის ქვეყნებზე.

### ზღვისპირეთში შეიქმნა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი

უკვე მოაწერეს ხელი სადამფუძნებლო დოკუმენტებს, რომლის თანახმად შეიქმნა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი "შორეული აღმოსავლეთი", რომელიც ზღვისპირეთის მხარის გემთშემკეთებელ ქარხნებს აერთიანებს.

ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებლის სააქციონერო საზოგადოება "შორეული აღმოსავლეთის" გენერალური დირექტორის მიხეილ ვინოგრადოვის თქმით, გაერთიანებაში შევიდნენ თავდაცვითი საწარმო "ზვეზდა", სააქციონერო საზოგადოებები "აღმოსავლეთის ნავსადგომი", "ასკოლდი", "ვარიაგი", "ვლადივოსტოკის ინსტრუმენტალური ქარხანა" და სხვები.

### პრემიერ-მინისტრს ინტეგრაცია ეჩქარება

თანამეგობრობის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესს აფერხებს რეფორმების გაჭიანურება, - ასე მიაჩნია რუსეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს. მისი აზრით, ძალიან გახანგრძლივდა სავაჭრო-ეკონომიკური და საგადასახადო-საანგარიშსწორებო მექანიზმების დახვეწა, ნელი ტემპებით იქმნებიან ტრანსეროვნული სამრეწველო ჯგუფები.

ინტეგრაციული პროცესების გასაღრმავებლად, ვ. ჩერნომირდინის აზრით, საჭიროა ეროვნული, ეკონომიკური და სამართლებრივი ორგანოების თანამშრომლობის სრულყოფა.

# პრივატიზების მაცნე №39

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### ტრანსპორტის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს იჯარა-გამოსყიდვით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე - ტრანსპორტის დეპარტამენტი;

იჯარით გასაცემი ქონების ფასი შეადგენს 37 000 აშშ დოლარს (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა - 3 700 აშშ დოლარი წელიწადში (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

მისამართი: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №7, ტ. 62-54-78.

საკონკურსო პირობა: 1997 წლის 31 დეკემბრამდე გამოსასყიდი ღირებულების 50%-ის დაფარვა, დარჩენილი ღირებულებისა - მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობას და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქს. თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ზეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ზეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა №001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94. №555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი 324.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-28-03.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს ფირმა "მშენრესურსის" თბილისის საკომპლექტაციო ბაზის იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე - ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტრო;

იჯარით გასაცემი ქონების ფასი შეადგენს 100 000 აშშ დოლარს (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა - 10 000 აშშ დოლარი წელიწადში (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის ქ. №87.

საკონკურსო პირობა: 1997 წლის 31 დეკემბრამდე გამოსასყიდი ღირებულების 50%-ის დაფარვა, დარჩენილი ღირებულებისა - მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობას და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქს. თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ზეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ზეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა №001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში საკომპლექტაციო ბაზის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94. №555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი 324.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-28-03.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

კომერციული კონკურსი

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### გარდაბნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადების წარმოებისა და რეალიზაციის სახ. ფირმა "ბაბილის" იჯარა-გამოსყიდვით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე - სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო;

იჯარით გასაცემი ქონების ფასი შეადგენს 150 000 აშშ დოლარს (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა - 15 000 აშშ დოლარი წელიწადში (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

მისამართი: გარდაბანი, მეგობრობის ქ. №2.

საკონკურსო პირობა: 1997 წლის 31 დეკემბრამდე გამოსასყიდი ღირებულების 50%-ის დაფარვა, დარჩენილი ღირებულებისა - მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობას და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქს. თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ზეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ზეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა №001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში სახ. ფირმა "ბაბილის" შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94. №555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი 324.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-28-03.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

კომერციული კონკურსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# №6 სპეციალიზებული აუქციონი

- განაცხადები დადგენილი წესით მიიღება 1996 წლის 16 დეკემბრიდან 1997 წლის 6 იანვრის 17 საათამდე ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზ. №64, ოთახი №219 (სახ. ქონების მართვის სამინისტროს შენობაში) ან სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოში საქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით
- 1 აქციის ნომინალური დირებულება = 1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 2,1 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივალენტს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.
- შესაბამისად, აუქციონის შედეგად, გადახდილი ყოველი 21 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის სანაცვლოდ, შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 10 ცალი 1,46 აშშ დოლარის ან 14 ცალი 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ნომინალური დირებულების აქცია

| № | საქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყ.აქც-იების რაოდ. | % საწეს-დებო კაპიტალი | ნომინალური ღირებულება აშშ დოლ. | საწყისი გა-საყიდი ფასი აშშ დოლ. | აქციათა გამოშვების კოდი | საქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებ. მიწის ფართ.ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8."კრისტალი"(თბ.ლიქ.-არყის ქ-ნა) | 394845 | 6575 | 1.665 | 9612.5731 | 13807.5 | 233-008 | მეველეს 20,ტ.717195, 712419 | ჯ.მესხი | 2.43 |
| 2 | 14."ავტოტრანსსისტემა" | 98360 | 960 | 0.976 | 1403.50877 | 2016 | 237-014 | ა.ყაზბეგის 12,ტ.365072 | თ.წულუკიძე | 0.45 |
| 3 | 15."ფენიქსი-2"(ავტოკოლონა 2651) | 114042 | 52831 | 46.33 | 77238.3041 | 110945.1 | 233-015 | ლადიძის 7,ტ.730460, 731806, 731803 | ა.ედიბერიძე | 1.3 |
| 4 | 60. "თამბაქოს საფერმენტ.ქ-ნა "ჰერეთი" | 153454 | 47629 | 31.04 | 69633.0409 | 100020.9 | 290-060 | ლაგოდეხი, 26 მაისის 33,ტ. | ჯ.მოღებაძე | 7.8 |
| 5 | 67. "სიხარული"(სათამაშოების ფ-კა) | 73062 | 1376 | 1.883 | 2011.69591 | 2889.6 | 238-067 | კაიროს 19,ტ. | ო.მაისაშვილი | |
| 6 | 74. "ლამპარი"(თბ.№4 მექანიკური ქ-ნა) | 35500 | 300 | 0.845 | 438.596491 | 630 | 238-074 | წულუკიძის 6,ტ.780570, 785868 | ო.ამირანაშვილი | |
| 7 | 88. "კორომი"(რ/გ"საქტყექალალდი") | 175562 | 14241 | 8.112 | 20820.1754 | 29906.1 | 238-088 | ქიზიყის 4,ტ.717520, 934982 | ბ.ზობელავა | 3 |
| 8 | 91. "ბაკალეია"(საქსურსათბითუმვაჭრ.თბ.ბაზა) | 109281 | 4078 | 3.732 | 5961.9883 | 8563.8 | 233-091 | სამგორის ჩიხი 4,ტ.713567 | ლ.დვალიძე | 1.5 |
| 9 | 120. "საქართველოს ტრაქტორი"(ქ.მც.გ.ტრ.ქ.) | 3712615 | 1709502 | 46.05 | 2499271.93 | 3589954.2 | 480-120 | ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ.19,ტ.34537 | ზ.თადუმაძე | 17.4 |
| 10 | 206. "თბილკონტრაქტი"(თბ.მომარ.გასაღ.სამმ.) | 68000 | 2070 | 3.044 | 3026.31579 | 4347 | 235-206 | ხიდის ქ.2,ტ.996243 | ი.ხელაშვილი | |
| 11 | 207. "იადონი"(გრამჩამწ.სტუდია"მელოდია") | 171069 | 3112 | 1.819 | 4549.7076 | 6535.2 | 232-207 | ვაჟა-ფშაველას გამზ.71,ტ.310707, 313652 | ჯ.ბერაძე | 1 |
| 12 | 209. "ელექტროტექნიკური ქ-ნა"(თბ.ელ.ტ.ქ) | 304607 | 3175 | 1.042 | 4641.81287 | 6667.5 | 231-209 | ცემის 3,ტ. | ნ.ლოსაბერიძე | 2.5 |
| 13 | 226. "წალენჯიხა-3"(წალენჯ.№3 ჩაის ფ-კა) | 92907 | 35110 | 37.79 | 51330.4094 | 73731 | 510-226 | წალენჯიხა, მარცხ.სანაპიროს 26,ტ.22683, 22843 | ო.გოგიბერიძე | 2 |
| 14 | 250. "ელიტა"(თელავის ხორცკომბინატი) | 39144 | 423 | 1.081 | 618.421053 | 888.3 | 250-250 | თელავი, ალმაშენებლის 2,ტ.34235 | | 4.97 |
| 15 | 264. "ზევსი"(გ-ბა "სპორტკულტსაქონელი") | 102973 | 43100 | 41.86 | 63011.6959 | 90510 | 234-264 | ფონიჭალა 65,ტ.722185, 723469, 723160 | თ.დაუშვილი | 2.7 |
| 16 | 324. "ციცქა"(თერჯოლის ს.კ.ფ."ციცქა") | 145980 | 1209 | 0.828 | 1767.54386 | 2538.9 | 260-324 | თერჯოლა,პ.იაშვილის 4,ტ. | | |
| 17 | 326. "ჩხარის მარანი"(თერჯ.ჩხარის ღვ.ქ.) | 71285 | 1636 | 2.295 | 2391.81287 | 3435.6 | 260-326 | თერჯოლა, სოფ.ჩხარი, | | |
| 18 | 338. "გაჩიანი"(რს"საქკვებმომწყობილობა") | 91884 | 45410 | 49.42 | 66388.8889 | 95361 | 140-338 | გარდაბნის რ-ნი,სადგ.გაჩიანი, | | |
| 19 | 358. "სამტრედიის №2 საკონსერვო ქარხანა | 64909 | 18238 | 28.1 | 26663.7427 | 38299.8 | 410-358 | სამტრედია,კოსტავას 17,ტ.23560 | მ.კუპრეიშვილი | 23.2 |
| 20 | 362. "ახმეტის სატყეო კომბინატი" | 111064 | 57346 | 51.63 | 83839.1813 | 120426.6 | 090-362 | ახმეტა,რუსთაველის 120,ტ.21221 | | 3 |
| 21 | 392. "საქქალაქმშენი"(სსგ"საქქალაქმშენი") | 169149 | 3630 | 2.146 | 5307.01754 | 7623 | 237-392 | ვაჟა-ფშაველას გ.16, | მ.ქორქაშვილი | |
| 22 | 436. "სალითი"(ჭიათ.სალ.მარმარ.მაღარ.სამმ.) | 133422 | 79718.3 | 59.75 | 116547.193 | 167408.388 | 580-436 | ჭიათურა,რკინიგზის სადგ.,ტ. | მ.ხვედელიძე | 16 |
| 23 | 677. "კვადრი"(სამშ.საწარ.კ-ტი) | 33904 | 208 | 0.613 | 304.093567 | 436.8 | 238-677 | თვალჭრელიძის 5,ტ. | გ.ტაბიძე | 1.01 |
| 24 | 704. "ცირკი"(თბილისის სახ.ცირკი) | 71898 | 868 | 1.207 | 1269.00585 | 1822.8 | 235-704 | გმირთა მოედანი 1, | თ.ჯაფარიძე | 0.2 |
| 25 | 707. "იორი"(სართიჭალის საკონს.ქ-ნა) | 57637 | 1300 | 2.255 | 1900.5848 | 2730 | 140-707 | გარდაბანი,სოფ.სართიჭალა, | ბ.მსხვილიძე | 1 |
| 26 | 716. "თბილმრეწვმშენი-3"(თბილ.მრ.მშ.№3 ტრ.) | 109935 | 44343 | 40.34 | 64828.9474 | 93120.3 | 231-716 | თამარ მეფის 14, | გ.ნიჟარაძე | |
| 27 | 753. "სასტუმრო "უშბა""(ტურიზმ.ტეპარტ.) | 78361 | 4533 | 5.785 | 6627.19298 | 9519.3 | 237-753 | დ.აღმაშენებ.ხეივ.4, | ს.გოგოლი | 1.51 |
| 28 | 765. "საკარცხული"(თბ.გრეხ.ავეჯის კ-ტი) | 91044 | 25428 | 27.93 | 37175.4386 | 53398.8 | 238-765 | ქინძმარაულის 7, | მ.ჯაფარიძე | |
| 29 | 781. "ოზურგეთის ეთერზეთები" | 117343 | 6752 | 5.754 | 9871.34503 | 14179.2 | 370-781 | ოზურგეთი,გრიბოედოვის 18, | ო.სიხარულიძე | |
| 30 | 783. "მეტეხის კერამიკა"(მეტ.კერ.აგურის ქ-ნა) | 1125362 | 102661 | 9.122 | 150089.181 | 215588.1 | 280-783 | კასპი, სადგური მეტეხი, | ო.ჭეიშვილი | 8 |
| 31 | 862. "ეკლარის ქვა"(ეკლარის კარიერ.სამმ.) | 30495 | 479 | 1.571 | 479 | 718.5 | 260-562 | თერჯოლის რ.,სოფ.ჭოგნარი | | |
| 32 | 865. "ჩაის ქაღალდის ფაბრიკა"(ზუგდიდი) | 1052360 | 8454 | 0.803 | 8454 | 12681 | 220-865 | ზუგდიდი-2, ჯანაშიას 1,ტ.61747 | ბ.კვარაცხელია | 2 |
| 33 | 870. "გურჯაანის ინკუბატორი №1" | 80189 | 2163 | 2.697 | 2163 | 3244.5 | 160-870 | გურჯაანი, ბესიკის 68 | გ.ქართველიშვილი | |
| 34 | 918. "ინემშენი"(თბილისის მერიის მუნიც.საწ.) | 360635 | 13755 | 3.814 | 13755 | 20632.5 | 235-918 | თბილისი, კოსტავას I შეს.33 | | |
| 35 | 964. "ზოსო"(გორის ხორცკომბინატი) | 66838 | 2466 | 3.69 | 2466 | 3699 | 150-964 | გორი, შინდისის გზ.ტკც. 27, ტ.22165 | ბ.გოგიჩაიშვილი | 2 |
| 36 | 1017. "ქუთპურტრანსი"(საწ.გაერთ."ქუთ.პური") | 164149 | 153754 | 93.67 | 153754 | 230631 | 480-1017 | ქუთაისი,ნიკეას მე-3 ჩიხი 3 | | 0.39 |
| 37 | 1026. "ჭიათურის პურკომბინატი" | 192565 | 178075 | 92.48 | 178075 | 267112.5 | 580-1026 | ჭიათურა,საჩხერის გზ.ტკც. 39 | ი.ჭილაძე | 0.96 |
| | სულ: | 10065829 | 2676908 | 374768735 | 5406019.79 | | | | | |

აუქციონის შედეგების შეჯამებისას ყოველ ცალკეულად გადახდილი თანხიდან გადახდილად ჩაითვლება 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ნაშთი თანხები გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.



## ყველა კინოგადაღება გადადო

კანის კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით 50-ე კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იქნება იზაბელა აჯანი. ამან ბევრი გააოცა, რადგან აქამდე ითვლებოდა, რომ საიუბილეო ფესტივალის ჟიურის უხელმძღვანელებდა საფრანგეთის მოქალაქე, იზაბელა აჯანი კი ეს რამდენიმე ხანია შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქედ ითვლება. ამასთანავე, ფესტივალის მთელი ისტორიის განმავლობაში ქალები მხოლოდ 6-ჯერ უძღვებოდნენ ჟიურის. ესენი იყვნენ ოლივია დე ჰევილენდი - 1965 წელს, სოფი ლორენი - 1966 წელს, მიშელ მორგანი - 1971 წელს, ინგრიდ ბერგმანი - 1973 წელს, ფრანსუაზა საგანი - 1979 წელს და ჟანა მორო - 1995 წელს.

ინტერვიუში აჯანიმ განაცხადა, რომ განზრახული აქვს ფესტივალის წინა პერიოდშიც კი უარი თქვას ყველა კინოგადაღებაზე, რათა მონაწილეობა მიიღოს ფილმების შერჩევაში.

## როგორ ვიშოვოთ იდეალური ქმარი

აშშ-ში ნამდვილ ბესტსელერად იქცა ჩერი შნეიდერისა და ელენ ფეინის წიგნი "როგორ ვიშოვოთ იდეალური ქმარი".

წიგნი მიმართულია ოცდაათწლამდე ასაკის ქალებისადმი და მოიცავს ასობით რჩევას. მათგან, ვფიქრობთ, ყველაზე საყურადღებო

და მთავარია სამი: 1. არც იფიქროთ მისთვის ღალატზე; 2. არც სცადოთ მისთვის ღალატი; 3. ორი წინამდებარე წესის დახმარებით შეძლებთ შესამჩნევად გაიუმჯობესოთ საკუთარი თვისებები.

ავტორები ამტკიცებენ, რომ მათ მიერ ჩამოყალიბებული მცნებები ქალებს დაეხმარება არა მარტო საოჯახო ცხოვრებაში, არამედ სამსახურშიც, მაღაზიაშიცა და ტრანსპორტშიც. და საერთოდ, გვარიანად წაადგება მათს ფინანსურ მდგომარეობას.

## მსოფლიო ეკრანის ულამაზესი მამაკაცი

სამოცდაერთი წლის ალენ დელონს ახლო ნაცნობები აქამდე მსოფლიო ეკრანის და სცენის ულამაზეს, თავისთავზე შეყვარებულ მამაკაცს უწოდებდნენ. მაგრამ ისინი დიდად გაოცებულნი დარჩნენ იმით, რაც იხილეს სპექტაკლში "საიდუმლო ვარიაციები".

მსახიობი სპექტაკლის დასასრულს მაყურებლის მისასალმებლად რომ გამოვიდა, თავისმა ექვსი წლის

უჭერს ქვეყანაში პროსტიტუციის ლეგალურობის შენარჩუნებას. ამასთან, მათი უმრავლესობა, ბუნებრივია, ქალები არიან. საფრანგეთში ბორდელები ჯერ კიდევ 1939 წელს დაიხურა, თუმცა მაშინ მიღებული კანონი არ კრძალავდა პროსტიტუციას ინდივიდუალურ საფუძველზე. შუამავლობა ითვლება დანაშაულად, ასევე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა სამსახურის საჯაროდ შეთავაზება. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კანონები მაინცდამაინც არ მოქმედებენ რეალურ ცხოვრებაში. საფრანგეთის

და აი, 1989 წელს იგი დანიშნეს კანარის კუნძულებზე ფრინველთა ნაკრძალის კურატორად. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ბატონი სილვა 82 თვით ციხეში ჩასვეს. ბრალად დაედო იშვიათი ფრინველებისა და შვიდი მაიმუნის კონტრაბანდა, რის შედეგადაც ბუნების დამცველმა მთელი 1300 ათასი დოლარი მოიგო, თუ ამას მოგება ჰქვია. დაპატიმრებით ხომ დააპატიმრეს, არც ეს აკმარეს და ჯარიმად 100 ათასი დოლარი გადაახდევინეს.

რაც მთავარია ორნეტოლოგ ტონი სილვას "მოღვაწეობის" შედეგად ისეთი იშვიათი ფრინველის რაოდენობა, როგორიცაა გრძელბოლოიანი ცისფერი თუთიყუში, მთელი 10 პროცენტით შემცირდა (ბუნებაში სულ აღრიცხულია 2000).

## კორიდა ქოლგით

კოლუმბიის ქალაქ ბეტულიაში უცნაური სახეობის კორიდა ტარდება. იმ ტერიტორიაზე შესვლა, სადაც სიბნელიდან ახლადგამოშვებულ ხარებს აჩერებენ, შეუძლია ნებისმიერ მსურველს. მათთან საბრძოლველად ასევე ნებადართულია ნებისმიერი საშუალება, რაც ხელთ აღმოაჩნდება ვაჟკაცური თვისებების გამომჟღავნების სურვილით შეპყრობილ მოხალისეს.

# პ ა ნ ო რ ა მ ა

## ვარსკვლავობის ნიშნით

ლონდონში ევროპის MTV 1996 წლის პრემიები გადასცეს მუსიკალური ეკრანის რჩეულთ. ყველაზე პოპულარულის სახელი მოიპოვეს ამერიკელმა მომღერალმა ჯორჯ მაიკლმა და კანადელმა ალანის მორისეტმა. საუკეთესო ჯგუფის სახელი მიეკუთვნა "Oasis"-ს, რომელმაც ჯილდო მიიღო აგრეთვე საუკეთესო სიმღერისათვის ("Wonder Wall"). ოკეანისგაღმელი სტუმრებისაგან განსხვავებით "Oasis"-მა ვერ შეძლო ჯილდოების გადასაცემ ცერემონიალზე დასწრება. ამ პოპულარული ბრიტანული ჯგუფის პროდიუსერმა განაცხადა, რომ



მუსიკოსებს თავისუფალი დრო არა აქვთ - სტუდია "ები როუდში" ალბომს იწერენ, სხვათაშორის, ეს სტუდია ორ ნაბიჯზეა იმ საკონცერტო დარბაზიდან, სადაც მათი დაჯილდოების ცერემონია ტარდებოდა.

გოგონა ანამ ყვავილების თაიგული მიართვა. მაყურებელი იმდენად შეძრა ბოლო სცენაში ალენ დელონის გულწრფელმა ცრემლებმა, რომ აღარ იცოდნენ აღტაცება როგორ გამოეხატათ, და აი, ფრანგებმა მოიფიქრეს...მსახიობის შესანიშნავი თამაშის საპატივცემლოდ მთელი დარბაზი სანთებლების ალის ციმციმით დაიფარა.

## ინდიელთა ხიბლი

კოპაკაბანას ცნობილი პლიაჟი ბრაზილიის ნაირნაირი ინდიელი ტომების რიტუალური ცეკვების ასპარეზად იქცა. ამ ტომების წარმომადგენლები ქვეყნის ყოველი მხრიდან ჩამოვიდნენ რიო-დე-ჟანეიროში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ფესტივალში. ბრაზილიელებმა ფესტივალი განზრახ დაამთხვიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ტექნიკური ჯგუფის სტუმრობას. სპეციალისტებს უნდა შეეფასებინათ რიოს შესაძლებლობები 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისათვის. მოგეხსენებათ, ლამაზ გამასპინძლებას ყველგან სასიამოვნო განწყობის შექმნა შეუძლია. განწყობა კი ბევრს ნიშნავს...

## ფრანგები მხარს უჭერენ

ფრანგთა სამი მეოთხედი მხარს

პოლიციის მონაცემებით ქვეყანა ითვლის 14 ათას მეძავ ქალს.

## ჩემი ისტორია

დღეს მთელი ევროპა კითხულობს სარა ფერგიუსონის წიგნს "ჩემი ისტორია",




რომელიც კონტინენტის ყველა ქვეყანაში გამოიცა. წიგნში იორკის ჰერცოგინია სამეფო ოჯახის წევრისათვის უცხო გულწრფელი მანერით უამბობს მკითხველს თავის სასიყვარულო ისტორიებს, იმასაც, რაც მიზეზი გახდა პრინც ენდრიუსთან განქორწინებისა. ჰერცოგინიამ თავისი შემოქმედება მაინც პრინც ენდრიუს მიუძღვნა.

## ბუნების სიყვარულმა დაღუპა

ჩიკაგოს მკვიდრი ტონი სილვა ნატურალისტთა წრეში იშვიათ ფრინველთა ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ დამცველად ითვლება. მას ეკუთვნის უამრავი სტატია და [illegible] აზებ.

## ერთადერთი საოჯახო პორტრეტი

მადონას ერთადერთი საოჯახო პორტრეტი გამოაქვეყნა ამერიკულმა ჟურნალმა "გლობმა", მაგრამ... ფოტოსურათი ყალბი გამოდგა. აღმოჩნდა, რომ მადონას ხელში ეკავა არა თავისი თვენახევრის გოგონა, არამედ წლინახევრის ძმისწული კარლოს ლეონე. არადა, ფოტოგრაფიაში ჟურნალს უზარმაზარი თანხა გამოართვა მომღერლის ერთ-ერთმა მცველმა.

# ინფორმაცია

## მსოფლიოს ირგვლივ

### ბიზნესის ისტორიაში უდიდესი გარიგება

ბრიტანეთის ტელესაკომუნიკაციო კომპანიამ "British Telecommunications"-მა ხელი მოაწერა გარიგებას ამერიკული "MCI"-ის შეძენაზე. ეს მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში ყველაზე დიდი გარიგებაა. იგი 20 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ამის შედეგად შეიქმნა კომპანია, რომელიც 70 ქვეყნის 40 მილიონ კლიენტს მოემსახურება.

### დიდი ბრიტანეთი დაემშვიდობება...

250 ათას მსხვილფეხა პირუტყვს, რომელიც შეიძლება საშიში სენით იყოს დაავადებული. ეს ღონისძიება ლონდონმა ახალი წლის დადგომამდე უნდა განახორციელოს. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრის დუგლას ჰოგტის თქმით, ევროპის თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, უკვე განადგურებულია ზემოაღნიშნული რაოდენობის ერთი მესამედი, რომლებიც შეტანილნი იყვნენ ეგრეთწოდებულ "რისკის ჯგუფში".

### საბაჟო კონტროლის სისტემა გაამარტივეს

ყაზახეთმა გაამარტივა საბაჟო სისტემა. ჯერჯერობით იგი ხორციელდება ქვეყნის საერთაშორისო აეროპორტებში ტურისტების, ბიზნესმენების, შვებულებაში მყოფი და სხვა მგზავრებისათვის, რომელთაც არა აქვთ ისეთი ბარგი, რომელთა გატანა-შემოტანა აკრძალული ან შეზღუდულია. მათ მებაჟეები დაჩქარებული ტემპით ატარებენ "მწვანე დერეფანში". ახალ პირობებში მუშაობისათვის მებაჟეები სპეციალურ მომზადებას გადიან.

### ცივ ზამთარს მოელიან

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება გამოზამთრება გაუჭირდეთ იმის გამო, რომ მოსალოდნელია გამთბობი ნავთობპროდუქტების შემოტანის გართულება.

მოსალოდნელი კრიზისის მიზეზია სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების შემდეგ ნავთობის პროდუქტებზე ფასების ზრდის ყველაზე მაღალი დონე, რომელიც ამ ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება.

აღნიშნულ ქვეყნებში კი უკიდურესობამდეა შემცირებული სათბობის მარაგი.

### პროექტები ერაყთან ერთად იგეგმება

რუსეთი მოითხოვს ერაყისათვის ეკონომიკური სანქციების შეცვლას, რადგან ვარაუდობს, რომ ამის შემდეგ ბაღდადთან ერთად შეძლებს აქ მთელი რიგი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ახლა ექსპერტების დონეზე მუშავდება. ამ პროექტების ღირებულება 10 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება და ძირითადად ერაყის ნავთობის მრეწველობას, ენერგეტიკული კომპლექსების რეკონსტრუქციას ითვალისწინებს.

# ფიქსირებული კურსი არ იქნება

## სამიზნეზეა თანამეგობრობის ქვეყნების ვალუტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ცდები არის, შედეგი - არა

მსოფლიო სავალუტო ბაზარზე დოლარი ძველებურად ბატონობს. მის სიმყარეზე დღესაც საგნობრივად არის დამოკიდებული ნებისმიერი ვალუტის კურსი. ამდენად, იგი თითოეული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე თავისებურ კვალს სტოვებს.

ამიტომაც "ებრძვიან" მას, ცდილობენ მისი "მოძრაობის" კალაპოტში მოქცევას.

ცდა ბევრი იყო. შედეგი თითქმის არავითარი.

სულ ახლახანს რუსეთშიც სცადეს დოლარის კურსის კოტირება. ისიც მომავალი წლისთვის.

ახლახან გაირკვა, რომ ბევრისთვის თავზარდამცემი დოლარის კურსის ფიქსირება მომავალი წლისთვის არ მოხდება. ამის შესახებ ცნობამ ცენტრალური ბანკიდან გამოჟონა, მაგრამ წმინდა ადგილი არასოდეს არ არის ცარიელი. ძველი იდეა ახალმა შეცვალა - ახლა თანამეგობრობის ქვეყნების ვალუტებს დაადგეს თვალი და გაჩნდა მათი გაერთიანების სურვილი.

### თანასწორობა ანუ პრემიერ-მინისტრის წუხილი შემთხვევითი არ ჩანს

დიდი ხანია ყველა შეეგუა "სავალუტო დერეფნის" არსებობას. დოლარის ფიქსირებული კურსის შემოღება კი შეიძლება ბევრისთვის არასასიამოვნო სიურპრიზი გამხდარიყო. მით უმეტეს, რომ დოლარის ფიქსირებული კურსი თვით ცენტრალურ ბანკშიც კი განიხილებოდა, როგორც მომავალი წლის სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი ვარიანტი.

და აი, ნოემბრის დასასრულს რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე პოტიომკინმა განაცხადა, რომ დოლარს არ დააფიქსირებენ, რადგან რუსეთში არსებული საბიუჯეტო პოლიტიკის გათვალისწინებით დაფიქსირებული კურსის შემოღება ჯერ არარეალურია. მაგრამ კონკრეტულად, თუ როგორ მოხდება რუბლის გადასაცვლელი კურსის დარეგულირება, ბატონმა პოტიომკინმა არ დააზუსტა. თუმცა მიანიშნა, რომ ცენტრალური ბანკი აუცილებლად საჯაროს გახდის თავის სავალუტო პოლიტიკას.

მაინც როგორს?

სპეციალისტების ვარაუდით, მომავალი წლისთვისაც შენარჩუნებული იქნება სავალუტო კურსის რეგულირების დღეისთვის არსებული მეთოდი.

ცენტრალურ ბანკთან ერთად ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობა დაინტერესებულია ვალუტის კურსის შედარებით მოქნილობითა და პროგნოზირებადობით. "დახრილი სავალუტო დერეფანი" სწორედ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სხვათა შორის, მომავალ წელს შეიძლება უკრაინაშიც გაჩნდეს "სავალუტო დერეფანი". ამის შესახებ განცხადება გააკეთა უკრაინის ეროვნული ბანკის მმართველმა ვიქტორ იუშჩენკომ. "სავალუტო დერეფანი" დოლართან მიმართებაში შეიძლება დადგენილ იქნას 1,7 გრივნიდან - 1,9 გრივნის ფარგლებში.

### ფინანსისტის მოულოდნელი განცხადება

თუ რა მოუვა გრივნს, ახლო საზღვარგარეთის, ე.ი. პოსტსაბჭოური ქვეყნების ვალუტებს, შეიძლება მალე სულაც არ იქნეს სულერთი. რუსი ფინანსისტების გონებაში გაჩნ-



და აზრი, რომ შეიძლება შემოღებული იქნას თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანი ვალუტა. ეს განაცხადა ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ სერგეი დუბინინმა. მან წინადადება შემოიტანა დსთ-ს ქვეყნებში შემოიღონ "ერთიანი ვალუტა, მსგავსი იმისა, რომლის შემოღებასაც აპირებენ ევროპული სახელმწიფოები".

სერგეი დუბინინის ასეთი განცხადება, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. ცოტა ხნით ადრე იგი ირწმუნებოდა, რომ ეკონომიკისა და ფინანსების შემაშფოთებელი მდგომარეობის გამო რუსეთში ფულადი რეფორმის ჩატარება შეუძლებელიაო. ფულადი რეფორმა კი, უბრალოდ, ღიმილისმომგვრელი ღონისძიებაა ერთიანი ვალუტის შექმნასთან შედარებით. ეს საკითხი მოითხოვს როგორც გლობალური ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ასევე დსთ-ს ყველა ქვეყნის ეკონომიკის მაღალი დონის შენარჩუნებას რამდენიმე წლის განმავლობაში. საკმარისია შევხედოთ ევროპული სახელმწიფოების მთავრობების წამებას, რომლებიც ცდილობენ როგორმე "მაასტრისტის კრიტერიუმში" მოაქციონ საკუთარი ეკონომიკის განვითარება. თუმცა გასაკვირი არაფერი იქნება. ეტყობა, რუსეთის პოლიტიკური და ფინანსური წრეების შიგნით აფუთფუთდა მათთვის მეტად სანატრელი და საოცნებო აზრი ერთიან ვალუტაზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ პარიზში გამგზავრებამდე რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა სინანული გამოთქვა თანამეგობრობის ქვეყნების ინტეგრაციის ნელი ტემპების გამო და მათი ეკონომიკური, სამართლებრივი ნორმების დაახლოების მექანიზმების დაჩქარებული სრულყოფა მოითხოვა.

ცდა ბედის მონახევრეაო და, ეტყობა, ამ ცდის ფორმებს (ცხადია, კარგად შელამაზებულს) გაფაციცებით ეძებენ.

### ნაღდ ბაზარს თავისი კანონები აქვს

მოსკოვის ნაღდ ბაზარზე გაჩაღებული ვნებათაღელვები, ჯერაც არ დამცხრალა. 6 ნოემბრის დილას მოულოდნელად დაწყებული მეორე დღის საღამომდე გაგრძელებული კოტირების ზრდა მკვეთრი ჩავარდნით დამთავრდა. ბანკები ვალუტას ყიდულობდნენ აშკარად გადიდებული კურსით და იმედოვნებდნენ მოეგოთ შემდეგ დღეებში. მათ იმედები აშკარად გაუცრუვდათ, რადგან სადღესასწაულოდ ნაღდ დოლარზე მოთხოვნა საერთოდ გაქრა. ამის გამო 10 ნოემბერს გაყიდვის ნაღდმა კურსმა კლება დაიწყო და დღის განმავლობაში დოლართან მიმართებაში 5510 რუბლიდან 5496 რუბლამდე დაეცა. მაგრამ დღესასწაულების შემდეგ სიტუაცია კვლავ შეიცვალა: დოლარზე მოთხოვნა კვლავ გაიზარდა და ნაღდი ვალუტის კოტირების ზრდაც განახლდა.

სამრეწველო ბიზნეს-ბანკის უფროსი დილერის რომან დიკარიოვის თქმით, ნაღდი ვალუტის ოპერაციების მოცულობა და შემოსავალი 10 ნოემბრიდან 2-3-ჯერ გაიზარდა. შესაძლებელია, ამაზე იმოქმედა სახელმწიფო სათათბიროს შემთანხმებელი კომისიის გადაწყვეტილებამ შემოიღოს გადასახადები დეპოზიტებზე, რაც განაკვეთებს შეამცირებს კერძო პირთა ანაბრებზე. არაა გასაკვირი, რომ ბევრმა გადაწყვიტა თავისი დანაზოგების დოლარებში გადაყვანა, რათა ადრევე მოეგროვოს ისინი. მით უმეტეს, რომ მომავალი წლიდან ვალუტის შეძენა უფრო ძვირი იქნება, თუკი შემოიღებენ გადასახადს ნაღდი ვალუტის შეძენაზე.

### ტრანშის იმედმა ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნები გაზარდა

ნაღდი ბაზრის მოვლენების ცოცხალი სურათისგან განსხვავებით, ბანკთაშორის ბაზარზე, როგორც ერთმა დილერმა აღნიშნა, ყველაფერი "სამწუხარო და მოსაწყენი" იყო. რუსეთთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში აშკარად შეიმჩნეოდა ბანკთა აქტიურობის შენელება. ვალუტაზე მოთხოვნილება დაუკავშირდა სახელმწიფო კომერციულ ობლიგაციას. თავიდან იგი სუსტი იყო, ბანკები ზოზინით ყიდულობდნენ ვალუტას იმ იმედით, რომ ცენტრალური ბანკი დააჩქარებდა ოფიციალური კურსის ზრდის ტემპებს. მართლაც, ბოლო დღეებში ოფიციალური კოტირებები ჩვეულებრივზე სწრაფად იზრდებოდა. განვლილ კვირას ცენტრალური ბანკის კურსი 17 რუბლით გაიზარდა (5474 მან.). უფრო დიდი ტემპებით იზრდებოდა დოლარის კურსი. მოსკოვის საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე 7 დღის განმავლობაში გაიზარდა 15 რუბლით, მაგრამ, როგორც კი ხმა გავარდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უახლოეს მომავალში გასცემდა რიგით ტრანშ კრედიტს, მაშინვე გაიზარდა სახელმწიფო კომერციულ ობლიგაციებზე მოთხოვნები და ბანკებმა ვალუტის გაყიდვა დაიწყეს.

ექსპერტების აზრით, წლის ბოლოსათვის ბანკების მხრივ ვალუტის მოთხოვნა წაგებისკენ წავა. ეს იმით აიხსნება, რომ ბანკები შეაჯამებენ წლიურ ბალანსს, რისთვისაც მათ რუბლები დასჭირდებათ. ამის გარდა ცნობილია, რომ 1997 წელს სახელმწიფო კომერციულ ობლიგაციებით ოპერაციებზე დაწესებული იქნება გადასახადები. ამიტომ ბანკების უმრავლესობა არჩევს სახელმწიფო ქაღალდების ბაზარზე წელს ითამაშოს. ეს შეამცირებს ვალუტაზე მოთხოვნასაც. რაც შეეხება რუბლის კურსის პროგნოზებს დოლართან შეფარდებით, წლის ბოლოსათვის ის, ალბათ, გადააბიჯებს 5550 რუბლის ზღვარს. წლიური შედეგების მიხედვით სავალუტო დაბანდების შემოსავლიანობა 20 პროცენტს მიაღწევს.

### იდეას სიცოცხლის უნარი არ ეტყობა

რა გავლენა მოახდინა ყოველივე ამან თანამეგობრობის ქვეყნებში არსებულ ვითარებაზე? დიდი არაფერი. ამის მაგალითად საქართველოც კმარა. აქ კარგა ხანია დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის - ლარის კურსი მყარია და დიდ ცვლილებებს არ განიცდის. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა და მათი ანალიზი ამჯერად არ არის ჩვენი მთავარი მიზანი.

არსებითი კი ის გახლავთ, რომ თანამეგობრობის ქვეყნებში არსებული ვითარება და რუსი ფინანსისტების იდეებისადმი დამოკიდებულება ერთიანი ვალუტის შემოღების საფუძველს არ იძლევა. პოსტსაბჭოური ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისათვის ერთიანი ვალუტა არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად ხელსაყრელი არ არის. ამდენად, თვით იდეასაც არ ეტყობა სიცოცხლისუნარიანობის ნიშან-წყალი.

# მსოფლიო ეკონომიკა

## ჭეშმარიტება ღვინოშია

მსოფლიოში ყველაზე შესანიშნავი ღვინოები საფრანგეთის პროვინცია - ბურგუნდიაში მზადდება. პარიზიდან მატარებლით სულ ორი საათის სავალზე იმყოფება ბურგუნდიის ცენტრი ქალაქი დიჟონი, რომლის შემოგარენიც სავსეა უამრავი პატარ-პატარა სოფლებით, პაწაწინა ქალაქებითა და თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაშენებული ვენახებით. ეს არის "Cote-d'or" - ოქროს მხარე, ბურგუნდიული ღვინოების მწარმოებელი უდიდესი რაიონი. ისევე როგორც საქართველოში, აქაც უმეტესობა ვენახებში მარტო ამ ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი ღვინო კეთდება. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სასმელის "Romance-Conti"-ს ვენახების გვერდით, სულ ხუთი წუთის სავალზე იმყოფება ადგილი, სადაც "Aloxe-Corton"-ს აწარმოებენ, იქვე ახლოს კი "Montrachet"-ის ვენახებია. ძნელი დასაჯერებელია, რომ მიწის ასეთ პატარა ნაკვეთზე ამდენი სახის ძვირფასი ღვინო მოდის.

ბურგუნდიელები მეტად საინტერესო ხალხია. ისე ჩანს, თითქოს მათი ცხოვრების არსს ეს ძველთაძველი სასმელი წარმოადგენდეს. აქ მხოლოდ ღვინოზე ლაპარაკობენ, ღვინოს ჰყიდიან, ღვინოს სვამენ და ერთი სიტყვით, ცნობილი გამონათქვამის თანახმად "In vinus veritas" - ჭეშმარიტება ღვინოშია.

"ოქროს მხარის" თითოეულმა მკვიდრმა კარგად იცის, რომ დაბლობში იზრდება საშუალო ყურძენი "Village", უფრო მაღლა უკვე "Premier Cru", ხოლო ფერდობებზე უმაღლესი ხარისხის "Grang Cru". მაღლა მზე გაცილებით მცხუნვარეა და ვენახიც დაცულია ქარისაგან, ამიტომ რაც გვიანაა დაკრეფილი ყურძენი, მით უფრო კარგი ღვინო დაიწურება. ბურგუნდიაში დიდი მოსავალი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ბევრი და მაღალი ხარისხის ღვინო იქნება, პირიქით, რაც ნაკლებია ყურძნის საერთო რაოდენობა, მით უფრო მეტი მზითა და "სიცოცხლის წვენით" გაჟღენთილი სასმელი დადგება.

საფრანგეთის ამ მშვენიერ მხარეში ყველამ იცის, რომ წითელი ღვინის საწარმოებლად ყურძენი ფეხით უნდა დაიწუროს და ჭაჭაზე იქნას დაყენებული (ჩვენ რომ "ქართულ წესს" ვუწოდებთ), ხოლო თეთრი ღვინისათვის სულაც არაა აუცილებელი "ფეხებით მუშაობა", რადგან იგი არ საჭიროებს დამატებით ფერმენტაციას. სუფთა წვენი პირდაპირ უზარმაზარ კასრებში ისხმება (ჩვენთან ამას "ევროპული წესი" ჰქვია).

ბურგუნდიაში არ არსებობს ღვინის წარმოების ისეთი საიდუმლოება, რომელიც "ოქროს მხარის" თითოეული მაცხოვრებლისათვის იყოს დაფარული. ისინი თითქმის აკვნიდან ითვისებენ ღვინის გემოსა და არომატს. აქ, ნებისმიერ სოფელში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სარდაფი ან სამიკიტნოა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჭაშნიკი გაუსინჯოს ადგილობრივ სასმელს, მაგრამ ნამდვილი ღვინის სარდაფების უმრავლესობა საგვარეულო ციხესიმაგრეებშია განლაგებული, სადაც მხოლოდ რჩეულ საზოგადოებას შეუძლია შეღწევა. ყველაზე დაბლა, სარდაფების თაროებზე, სიბნელეში, ობით, მტვრითა და აბლაბუდით იფარება 50 და 60 წლიანი საკოლექციო ღვინოები ბოთლებში. ცოტა ზემოთ ხის უზარმაზარი კასრებია, სადაც ახალგაზრდა ღვინოებია ჩასხმული, რომლებიც ჯერ ბოთლებში გადახარისხების ღირსნიც არ გამხდარან.

ბურგუნდიული ღვინის შედარება, მხოლოდ ბორდოს პროვინციაში დაყენებულთან თუ შეიძლება, მაგრამ არ ღირს, რადგან ადგილობრივი მკვიდრნი უბრალოდ უზრდელობაში ჩაგითვლიან ასეთ საქციელს.

ბურგუნდიული ღვინის ფასი 20-დან 600 დოლარამდე მერყეობს, ამიტომ არ გირჩევთ ჩვენს ბაზრობე-



ბზე ფრანგულ ეტიკეტმიწებებული ღვინის თუნდაც სადეგუსტაციოდ შეძენას, ან კიდევ ასეთი "ვაი სასმელის" გასინჯვის შემდეგ იმის მტკიცებას, რომ ისინი არაფრით ჯობიან ადგილობრივი წარმოების ღვინოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ღვინის საკოლექციო ეგზემპლიარები არაფრით ჩამოუვარდებიან არცერთი ქვეყნის სასმელს და რიგ შემთხვევაში აღემატებიან კიდეც სპეციფიური არომატისა და გემოს გამო.

საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, ამ ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია და ნუ დაგვავიწყდება, რომ "ხვანჭკარა" რაჭაში მხოლოდ ერთ ფერდობზე გაშენებული ყურძნიდან მზადდება, ხოლო "ქინძმარაული"-ს ცნობილი ღვინო მხოლოდ შუაში გამავალი გზის მარცხენა მხარეს გაშენებული ვენახიდან თუ მიიღება.

**დათო ჭეიშვილი**

## ოქრო გაიაფდა

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ოქროს ფასი 377 დოლარამდე დაეცა. ეს საკმაოდ მოულოდნელი იყო. დილერები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამისა, წლის ბოლოს მოხდება ძვირფას ლითონებზე ფასების ტრადიციული აწევა.

აღსანიშნავია სპეციალისტების დასკვნაც. მათი განმარტებით, 1996 წლის მე-3 კვარტალში მსოფლიომ 2 პროცენტით ნაკლები ოქრო მოიხმარა 1995 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

## ალუმინი გაძვირდა

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის ლითონების ბირჟაზე ალუმინის ფასმა 1916 დოლარამდე აიწია. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. პირველადი ალუმინის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მსოფლიოში ალუმინის მოპოვების ტემპები მნიშვნელოვნად იზრდება. ამან, ბუნებრივია, ლითონის გაიაფება უნდა გამოიწვიოს, რეალურად კი ფასი იზრდება. უფრო მეტიც, დილერების აზრით, ღირებულება კვლავაც მოიმატებს.

## სპილენძის ფასი იმატებს

ლონდონის ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასმა თითქმის 200 პუნქტით მოიმატა და 2209 დოლარს მიაღწია. მომავალში კვლავაც მოსალოდნელია იგივე ტენდენციის გაგრძელება, რადგან დილერებმა მასობრივად დაიწყეს აღნიშნული ლითონის შეძენა.

როგორც ირკვევა, ბირჟის საცავებში უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში სპილენძის მარაგი 65%-ით შემცირდა.

## ნიკელის ღირებულება ეცემა

ლონდონის ლითონების ბირჟაზე ნიკელის ფასი კიდევ 200 პუნქტით დაეცა და 6940 დოლარი შეადგინა.

დილერები ამას შემდეგი ფაქტით ხსნიან. მსოფლიო ნიკელის 70 პროცენტს უჟანგავი ლითონების მწარმოებლები ყიდულობენ. ახლა კი ისინი ნაკლებად აქტიურობენ და მიწოდება მოთხოვნას ბევრად აღემატება. სპეციალისტები ფასის ზრდას მაინც მოელიან, რადგან ახალი წლის შემდეგ ისინი მაქსიმალურად დატვირთავენ თავიანთ საწარმოებს.

## ნავთობის ფასი ცვალებადია

იანვრის ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს ნავთობის ფასი 23,1 დოლარზე გაჩერდა, კვირის დასაწყისში კი მხოლოდ 22,5 დოლარს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ერაყი შეთანხმდნენ, რომ ერაყი ნავთობის სანაცვლოდ მიიღებს სურსათს. ამ გარიგების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი და ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები არსებობს. სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს საინფორმაციო ვაკუუმი იწვევს ნავთობის ღირებულების ცვალებადობას.

## ვალუტის ოფიციალური კურსები

### (დსთ და ბალტიისპირეთი)

| რესპუბლიკა (ვალუტა) | 1$ | ცვლილება | რუს.რუბ. 1000 | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი (მანათი) | 4147.0 | -3 | 760 | 0 |
| სომხეთი (დრამი) | 434.55 | -3.65 | 78.6 | -0.7 |
| ბელორუსია (ბელ.რუბ.) | 15150.0 | +50 | 2760 | +10 |
| საქართველო (ლარი) | 1.28 | +0.005 | 0.225 | 0 |
| ყაზახეთი (თენგე) | 70.05 | +0.35 | 13.6 | +0.2 |
| ყირგიზეთი (სომი) | 15.72 | 0 | 2.865 | -0.0057 |
| ლატვია (ლატი) | 0.548 | -0.002 | 0.0998 | -0.0042 |
| ლიტვა (ლიტი) | 4.0 | 0 | 0.728 | -0.0015 |
| მოლდოვა (ლეი) | 4.666 | +0.006 | 0.846 | -0.001 |
| რუსეთი (რუბლი) | 5491.0 | +10 | - | - |
| ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.) | 301.0 | 0 | 56.0 | 0 |
| თურქმენეთი (მანათი) | 4050.0 | +5 | 738.24 | -0.71 |
| უკრაინა (გრივნა) | 1.87 | 0 | 0.341 | 0 |
| უზბეკეთი (სუმი) | 51.0 | +2.9 | 9.3 | +0.51 |
| ესტონეთი (კრონა) | 11.9828 | -0.0656 | - | - |

### მყარი ვალუტის კურსები

| | აშშ | ინგლ. | შვეიც. | 100 იაპ. | 1000 იტალ | გერმ. | ფრანგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფრანგული ფრანკი | 5.0837 | 8.5636 | 4.0137 | 4.5600 | 3.3988 | 3.3947 | - |
| გერმანული მარკა | 1.4976 | 2.5226 | 1.1823 | 1.3433 | 1.0012 | - | 0.2945 |
| იტალიური ლირა | 1495.8 | 2519.6 | 1180.9 | 1341.7 | - | 998.80 | 294.22 |
| იაპონური იენა | 111.49 | 187.80 | 88.019 | - | 74.535 | 74.445 | 21.930 |
| შვეიცარ. ფრანკი | 1.2666 | 2.1336 | - | 1.1361 | 0.8468 | 0.8457 | 0.2491 |
| ინგლისური გირვ. | 0.5936 | - | 0.4686 | 0.5324 | 0.3969 | 0.3964 | 0.1167 |
| აშშ დოლარი | - | 1.6845 | 0.7895 | 0.8969 | 0.6686 | 0.6677 | 0.1967 |

### ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ოქრო ($ უნც) | 377.00 | ნავთობი ($ ბარელი) | 23.13 |
| ალუმინი ($ ტ) | 1516.5 | ხორბალი | |
| სპილენძი ($ ტ) | 2209 | (ინგ.გირვ. ტ) | 95.50 |
| ნიკელი ($ ტ) | 6940 | თეთრი შაქარი ($ ტ) | 301.80 |

## რუსებს ალტერნატივა გამოუჩნდათ?

### არა, უბრალოდ დაავიწყდათ წარსული

გაზეთის გასულ ნომერში გატყობინებდით, რომ მოსკოვში მუშაობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელმაც დირექტორთა საბჭოს უახლოეს ხანში თავისი დასკვნა უნდა წარუდგინოს.

მისიის თანამშრომლებმა შეისწავლეს რუსეთის ფედერაციის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში. დირექტორთა საბჭო ერთი კვირის განმავლობაში გადაწყვეტს, მისცეს თუ არა რუსეთს ოქტომბრის ტრანში 340 მლნ. დოლარის ოდენობით. აქტიურად დგას ნოემბრის ტრანშის საკითხიც. ძირითადი მიზეზი, რის გამოც აღნიშნული თანხა თავის დროზე მოსკოვმა არ მიიღო, არის გადასახადების აკრეფის დაბალი მაჩვენებელი.

შემოწმების შედეგები საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს ოპტიმიზმს ვერ უნერგავს. მიუხედავად ხელისუფლების განწირული მონდომებისა, გადასახადების აკრეფის საკითხში კარდინალური ცვლილებები არ მომხდარა, ამიტომ კრედიტის გაცემის საკითხი ღიად რჩება.

რუსი დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ამჯერად მაინც პრობლემა არ იქნება, თუმცა ამის საპირისპიროდ ბევრ უცხოელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ სავალუტო ფონდი ამჯერადაც შეიკავებს თავს ოქტომბრის ტრანშის გაცემისაგან.

როგორც ეტყობა, ფონდის მისიის ხელმძღვანელობა თავის პოზიციებზე ურყევად დგას.

თავისი ქვეყნის დამამცირებელი პოზიციიდან გამოყვანა ითავა ვიცე-პრემიერმა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრმა ოლეგ დავიდოვმა. მისი განმარტებით, ის კრედიტები, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი სხვადასხვა მიზეზების გამო აჭიანურებს, სულაც არ წარმოადგენს რუსეთის ეკონომიკისთვის გადამწყვეტ ფაქტორს. მინისტრის თქმით, მოსკოვისთვის ფინანსირების პროგრამა პოლიტიკური საკითხია.

"ფულის გამოყოფა არის ინდიკატორი იმისა, თუ რას ფიქრობენ მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკური წრეები რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე" - იმედიანად აცხადებს დავიდოვი.

იგი დასძენს, რომ მიუხედავად გარკვეული შეფერხებისა, ამ ინდიკატორის ისარი მაინც დადებით მხარესაა გადახრილი.

და მაინც. საიდან აქვს ამდენი ოპტიმიზმი ფაქტიურად გალატაკებული ქვეყნის მინისტრს? საქმე ისაა, რომ რუსეთმა ევროობლიგაციები განათავსა მსოფლიო ბაზარზე და იქედან დიდ შემოსავალს ელის. ეს კი გრძელვადიანი კრედიტების მიღების კიდევ ერთი წყაროა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 21 ნოემბერს გაიყიდა 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ევროობლიგაციები. ასეთ წარმატებას ხელისუფლება თავადაც არ მოელოდა. დაგეგმილი იყო 500 მილიონამდე ღირებულების ობლიგაციების გაყიდვა.

მოსკოვი წლიურად 3,45 პროცენტით მეტს გადაიხდის (საპროცენტო განაკვეთის სახით) ვიდრე ვაშინგტონი იხდის. მსგავსი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირებული აქვს არგენტინას. დასავლეთის სამყარო ასეთ წარმატებას არ მოელოდა. თუმცა, საპროცენტო განაკვეთის დაწესება ჯერ საქმის მეათედიც არ არის. საჭიროა ამ თანხის გადახდა. როგორ აპირებენ ამის დაფარვას, რუსებმა ალბათ მხოლოდ თავად თუ იციან.

რუსი ექსპერტების უმეტესობა ახლა აცხადებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ცნობილი კომპანია "ატონის" ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ფონდი გადაწყვეტილებას ტრანშის გამოყოფის შესახებ ნოემბრის ბოლოსთვის მიიღებს. მთავრობა თუნდაც ამ ვარიანტის შესასრულებლად ყველა ღონეს იხმარს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თუ ტრანშის გამოყოფა ახლა არ მოხდება, სიტუაციის გარკვევამდე მნიშვნელოვნად დაიწევს კოტირება შიდა სავალუტო სესხებზე. ეს კი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შეეხება რუსეთის საფონდო ბაზრის საქმიანობას. ბევრი უცხოელი (და რუსი) ინვესტორი ყოყმანობს, გაზარდოს თუ არა თავისი აქტივები ე. წ. "მეორე ეშელონის" აქციების წილში.

ამ მხრივ საფონდო ბაზარზე საინტერესო ძვრები შეინიშნება. უმსხვილესი კომპანიების განსაკუთრებით ლიკვიდური აქციების კურსი უცვლელი რჩება. შედარებით არაპოპულარული კომპანიების აქციების კი პირიქით - მაღლა იწევს.

რუს ფინანსისტებს უკანასკნელი იმედი დარჩათ - ელცინის გამოჯანმრთელება. ისინი ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეარბილებს რუსეთის მიმართ თავის პოზიციას.

არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტი. რუსებს დაავიწყდათ, მუხლებზე დაჩოქილები როგორ ეხვეწებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდს კრედიტის მიღებას. ახლა ხელფასები ასე თუ ისე გაცემულია, ბუნტის საშიშროება აღარ არის და ჰგონიათ, რომ დახმარება აღარ დასჭირდებათ. აღნიშნული 340 მილიონის გარეშე ეკონომიკა კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში ჩადგება და ამ საკითხზე ალბათ ფონდის ხელმძღვანელობა დაფიქრდება.

უფრო შორს წავიდნენ რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატები. ზოგიერთი მათგანი ფულადი ემისიის დაშვებას ითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, პოპულისტური განცხადებებია, რომელიც მოსახლეობის გულის მოგებას ითვალისწინებს, მაგრამ ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს. რადგან მას კარგად ესმის, რომ მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე "დიდი დათვი" საშიშ მდგომარეობაში განწირული. ემისიის შემთხვევაში კი ყოველგვარი კრედიტის მიღების შანსი ნულს გაუტოლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელის იმედები არ გამართლდა

საკონტინენტთაშორისო თასი ფეხბურთში ამჯერად იტალიაში "გაემგზავრა". მილანის "იუვენტუსმა" არგენტინის "რივერ პლეიტი" დაამარცა - 1:0 (გოლი 85-ე წუთზე დელ პიერომ გაიტანა). ამით იტალია-არგენტინის საერთო ანგარიშიც გათანაბრდა. საქმე ის არის, რომ ამ თასს დღემდე არგენტინელები შვიდჯერ ფლობდნენ, იტალიური კლუბები კი 6-ჯერ. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ამ თასისათვის ამერიკისა და ევროპის კონტინენტების პაექრობაში წინ მაინც ოკეანისგაღმელები არიან. მათმა გუნდებმა პრიზი 10-ჯერ მოიპოვეს, ევროპელებმა მხოლოდ 7-ჯერ.

უკანასკნელი ასპარეზობის შედეგი ერთგვარად მოულოდნელიც იყო. საქმე ის არის, რომ ეროვნულ ჩემპიონატებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, არგენტინელები გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდნენ. ტოკიოში ჩასვლამდე "რივერ პლეიტმა" ჩემპიონატში 13 მატჩი ითამაშა. აქედან 10 მოიგო, 13 მატჩში 34 გოლი გაიტანა. იტალიელებს უფრო მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ. ეროვნულ ჩემპიონატში მათ ცხრა შეხვედრიდან 4 მოიგეს, 4 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს, გაიტანეს 11 ბურთი, თავის კარში მიიღეს - 7.

ალბათ, ამ შედეგებს ითვალისწინებდა არგენტინელთა მწვრთნელი რამონ დიასი, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა თავისი გუნდის გამარჯვებაში. "თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მოთამაშეების დღევანდელ შესაძლებლობებს, მაშინ გამარჯვება არ უნდა გაგვიჭირდეს" - განუცხადა რამონ დიასმა ჟურნალისტებს ტოკიოში გამგზავრების წინ.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. იტალიელები მრისხანე მეტოქეს არ შეუშინდნენ და მათმა უძლიერესმა თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომ დიასის იმედებს ცივი წყალი გადაასხა და უახლესი მარკის "ტოიოტაც" დაისაკუთრა.

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასს ფლობდნენ:

1980 - "ნასიონალი"; 1981 - "ფლამენგო"; 1982 - "პენიაროლი"; 1983 - "გრემიო"; 1984 - "ინდეპენდიენტე"; 1985 - "იუვენტუსი"; 1986 - "რივერ პლეიტი"; 1987 - "პორტუ"; 1988 - "ნასიონალი"; 1989 - "მილანი"; 1990 - "მილანი"; 1991 - "ცრვენა ზვეზდა"; 1992 - "სან-პაულუ"; 1993 - "სან-პაულუ"; 1994 - "ველეს სარსფილდი"; 1995 - "აიაქსი"; 1996 - "იუვენტუსი".

როგორც ცხრილიდან ჩანს, თასის ზედიზედ ორჯერ დასაკუთრება მხოლოდ ორმა გუნდმა შესძლო - იტალიურმა "მილანმა" და ბრაზილიურმა "სან-პაულუმ". დაველოდოთ მომავალ გათამაშებას, იქნებ "იუვენტუსმაც" იმარჯვოს.



სურათზე: ალესანდრო დელ პიერო საპრიზო "ტოიოტასთან"

## მეიჯორი მხარს უჭერს ინგლისის კანდიდატს

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა მიიღო ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი გლენ ჰოდლი. აუდიენცია მთავრობის მეთაურის ინიციატივით შედგა, რომელმაც მოიწონა წინადადება, რომ "ნისლიანი ალბიონი" წარდგენილი იქნას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატად. პრეტენდენტებს შორის გამარჯვებულს ფიფა მხოლოდ 2000 წელს დაასახელებს.

# სპორტული კალეიდოსკოპი

## ვარსკვლავები ერთმანეთს იანვარში შეხვდებიან

1997 წლის 29 იანვარს ლისაბონში გაიმართება ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ევროპისა და აფრიკის ვარსკვლავებისაგან შედგენილი გუნდები. იგი უკავშირდება საერთაშორისო აქციას "წელი რასიზმის წინააღმდეგ".

შეხვედრაში მონაწილე სპორტსმენების გვარები ახალი წლის წინ გამოცხადდება.

## ...დეკემბერიც არ იქნება გამონაკლისი

4 დეკემბერს იასპარეზებენ ევროპისა და დანარჩენი სამყაროს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. იგი მიეძღვნება მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის კენჭისყრის ცერემონიალს. ამ შეხვედრისათვის ევროპელ ვარსკვლავებს მოამზადებს სახელგანთქმული ფრანც ბეკენბაუერი.

## სახელოვანი ძმის იდეას და ახორციელებს

5-დან 15 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ ბოლონიაში მოეწყობა უდიდესი საერთაშორისო ავტოსალონი "ბოლონია-მოტორ & შოუ-96". ჩვეულებრივთან ერთად აქ მოეწყობა უნიკალური ექსპოზიცია "აირტონ სენა - მარადისობა". ამ ექსპოზიციის თაოსანია აირტონ სენას ფონდი და ინსტიტუტი, რომელიც ერთდროულად ხელმძღვანელობს სწორუპოვარი ავტომრბოლის და ვივიან სენა ლალლი. იგი ცდილობს პრაქტიკულად განახორციელოს ძმის იდეა - ობოლი და ხელმოკლე ოჯახების ბავშვების დაცვა არა მარტო ბრაზილიაში, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში.

## ავტომრბოლი ტექნიკურმა წუნმა იმსხვერპლა

მსოფლიოს საინფორმაციო წყაროების ცნობით გენერალურმა პროკურორმა მაურიციო პარარინიმ მოითხოვა დამთავრდეს წინასწარი მოკვლევა და სასამართლო ორგანოებს გადაეცეს საქმე, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის აირტონ სენას ტრაგიკულად დაღუპვასთან. თუ შეუმოწმებელ ინფორმაციებს დავუჯერებთ, წინასწარგანუზრახველ მკვლელობაში შეიძლება ბრალი დაედოთ "უილიამსის" გუნდის მფლობელს ფრენკ უილიამსს და გუნდის ტექნიკურ დირექტორს პატრიკ ხედს. 1994 წლის 1 მაისს ქალაქ იმოლეს ავტოტრასაზე მომხდარ კატასტროფაში მათ დადანაშაულებას იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება შეეფარდოს მინიმუმ 7 წლით პატიმრობა.

როგორც ამბობენ, პროკურორს საბრალდებო დასკვნა მზად ექნება უახლოეს დღეებში, ხოლო სასამართლო განხილვის დრო ცოტა გვიან იქნება ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი მოკვლევის კომისიის დასკვნა 600 გვერდზე მეტს შეიცავს. კომისიის მთავარი ექსპერტის პროფესორ ენრიკო ლორენცინის დასკვნით, ავარიის მიზეზი გახდა უწესივრობა საჭის ღერძში, რომელიც აირტონ სენასთვის საბედისწერო რბოლის წინ გადააკეთეს.

როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამ გადაკეთების დროს დაშვებულმა წუნმა იმსხვერპლა სახელგანთქმული ავტომრბოლი.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო თანაუგრძნობს ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ ულუმბერაშვილს დედის *თინა ღამბაშიძე-ულუმბერაშვილის* გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო თანაუგრძნობს მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ ულუმბერაშვილს დედის *თინა ღამბაშიძე-ულუმბერაშვილის* გარდაცვალების გამო.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქალაქი და ნავსადგური სამხრეთ იტალიაში, კუნძული სიცილიის ჩრდილო სანაპიროზე. 4. ამერიკელი კინომსახიობი. 10. მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ძველი ქალაქი. 11. მზის სისტემის პლანეტა. 12. ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული. 13. გულის ნორმალური რიტმის დარღვევა. 16. გარემოში ორიენტირებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო. 18. მწერების ინდივიდუალური განვითარების საბოლოო სტადია. 20. საცირკო წარმომადგენლებისათვის გათვალისწინებული მოედანი. 22. გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში სოფლის მამასახლისის მოადგილე. 23. იტალიელი სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე, პროფესიით ჟურნალისტი. 25. ფიზიკური სხეული, ნივთიერება, რომელიც მიისწრაფვის გავრცელდეს და თანაბრად მოიცვას სივრცე, ჭურჭელი, - გაზი. 27. ცილინდრული ჭურჭელი. 29. სერბი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 31. ცხოველზე ასაკიდი ტვირთი, გარკვეული საწყაო. 32. დუმილის კანონი სიცილიაზე. 33. საზოგადოებრივი ფენა, რომელიც ცხოვრობს ფასიანი ქაღალდებით ან სესხად გაცემული ფულადი კაპიტალის სარგებლით. 34. აქტიურად მოცურავე პელაგიური ცხოველების ერთობლიობა. 35. მოყვითალო წითელი საღებავი. 37. ნოტა. 39. გარეული კომში. 40. ნიადაგის დასამუშავებელი ან სხვა იარაღით დატოვებული თხრილი. 42. სისხლძარღვთა მწვავე უკმარობა, რასაც თან ერთვის სისხლძარღვებში წნევის დაცემა. 43. ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ბგერითი ველის ან არეკლილი ბგერის მიხედვით. 44. კობრისებრთა ოჯახის ორი სახეობის თევზის საერთო სახელი.

**შვეულად:** 2. ა. დიუმას ნაწარმოების პერსონაჟი. 3. კრივის ჩასატარებელი მოედანი. 5. ერთგული მსახური ა. დიუმას ნაწარმოებში. 6. მდინარე საქართველოში. 7. საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა - პერგამენტი. 8. პატარა იტალიური ბასრი იარაღი (დანა). 9. არგენტინელი ფეხბურთელი. 14. მთა მესხეთის ქედზე. 15. ვინმეზე გაწეული შრომა მზრუნველობა (მშობლის). 16. მოზრდილი, მავნებელი მწერი, ანადგურებს ნათესებს. 17. წევრი ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი შეიარაღებული სახალხო რაზმისა, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს მტრის ზურგში და ანადგურებს მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ანგრევს გზებსა და სხვ. 19. ნივთიერების რაოდენობის საზომი ერთეული. 21. სველი განგრენის მსგავსი პროგრესული დაავადება. 24. იაპონური მანქანათმშენებელი ფირმა. 26. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ წყაროებში. 27. ქიმიური ელემენტი, მომწვანო-მოყვითალო ფერის მახრჩობელა აირი. 28. კლასის მოწინავე, ორგანიზებული და აქტიური ნაწილი, რომელიც იცავს თავისი კლასის ინტერესებს და ხელმძღვანელობს მის პოლიტიკურ ბრძოლას სხვა კლასებთან. 30. ქალაქი სამხრეთ დასავლეთ ნიგერიაში. 36. ერთწლოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა. 37. სახელმწიფოს ერთპიროვნული (მემკვიდრეობითი) მეთაური მონარქიული წყობილების დროს, - ხელმწიფე. 38. წყვილი ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ქვეოჯახისა. 39. დიდი მოცულობის მინის ჭურჭელი, ღია ფერის. 40. ბილიარდის სათამაშო ჯოხი. 41. მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ჯანჯაფილისებრთა ოჯახისა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ქანდარა. 8. ნათელა. 9. ფოთოლი. 10. ნიამორი. 11. ლეონსიო. 13. კარპოვი. 14. ვარდი. 15. აბზინდა. 17. ტირანია. 19. კარა. 21. მილიცია. 23. ტროა. 25. მადერნა. 26. ადენომა. 29. ლარინგოსკოპია. 31. ილორი. 32. ლიანა. 33. კოშკი. 34. სტილი. 35. ქირია. 36. ოსალი.

**შვეულად:** 1. ანტალია. 2. პედანტი. 3. ქანჩი. 4. დემოკრატია. 5. აფიშა. 6. ეთიოპია. 7. მისტიკა. 12. ოვალი. 13. კიტრი. 16. ბზა. 18. იაო. 19. კომპასი. 20. აპელა. 21. მანტია. 22. ანდროუ. 23. ტანკი. 24. ანალიზი. 27. ეგრისი. 28. ასანთი. 29. ლაოსი. 30. არშია.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე“ რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.12.96.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო კოლეგია